

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მედიცინის ფაკულტეტი

მარინე ქარჩავა

C ჰეპატიტით ავადმყოფებში HCV ვირუსის და მასპინძლის ფაქტორების
მნიშვნელობა დაავადების გამოსავლის პროგნოზირებისათვის

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები

თენგიზ ცერცვაძე

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის
ფაკულტეტის ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტის
ხელმძღვანელი

ლალი შარვაძე

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინფექციურ
დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტი



უნივერსიტეტის
გამოცემლობა

თბილისი, 2015 წელი

შინაარსი

1.	შესავალი	4
1.1	აქტუალობა.....	4
1.2	მიზანი	4
1.3	ამოცანები.....	5
1.4	მეცნიერული სიახლე	5
1.5	საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომები	6
1.6	საერთაშორისო კონფერენციებში წარმოდგენილი ზეპირი და პოსტერ პრეზენტაციები.....	6
2.	ლიტერატურის მიმოხილვა.....	8
2.1	C ჰეპატიტის აქტუალობა	8
2.2	C ჰეპატიტის ეპიდემიოლოგიური სიტუაცია საქართველოში	10
2.3	C ჰეპატიტის ვირუსი	10
2.4	C ჰეპატიტის ვირუსის გენეტიკური სახესხვაობები	12
2.5	C ჰეპატიტის ვირუსის სასიცოხლო ციკლი	12
2.6	იმუნური პასუხები	14
2.7	მკურნალობის თანამედროვე პრინციპები	16
2.8	C ჰეპატიტის ვირუსის კინეტიკა.....	20
2.9	C ჰეპატიტის ვირუსის და მასპინძლის ფაქტორების მნიშვნელობა განკურნების პროგნოზირებისათვის.....	21
2.10	C ჰეპატიტის ვირუსის რეკომბინანტული ფორმები.....	23
2.11	C ჰეპატიტის ვირუსის რეკომბინანტული ფორმების დიაგნოსტიკა და მკურნალობა	27
3.	კვლევის ამოცანები.....	29
4.	კვლევის მასალები.....	30
4.1	კვლევის ობიექტების შერჩევის და გამორიცხვის კრიტერიუმები	30

4.2	ლაბორატორიული მეთოდები	33
4.2.1	HCV რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრა	33
4.2.2	ინტერლეიკინ 28 B გენოტიპირება.....	34
4.2.3	HCV გენოტიპირება სტუქტურული გენის ამპლიფიკაციის მეთოდით.....	36
4.2.4	HCV გენოტიპირება სექვენირების მეთოდით	36
4.3	ინსტრუმენტული დიაგნოსტიკა.....	39
4.4	სტატისტიკური ანალიზი.....	40
5.	კვლევის შედეგები.....	40
6.	დისკუსია, დასკვნები და რეკომენდაციები.....	97
6.1	მასპინძლის ფაქტორები და HCV ვირუსის კინეტიკა	97
6.2	HCV გენოტიპების და რეკომბინანტული ფორმების მნიშვნელობა მკურნალობის ეფექტურობის პროგნოზირებისათვის.....	102
7.	ლიტერატურის ჩამონათვალი	106
8.	დანართი 1.....	120
9.	დანართი 2.....	132

1. შესავალი

1.1 აქტუალობა

C ჰეპატიტი მსოფლიო ჯანდაცვის უაღრესად აქტუალური პრობლემაა და მისი მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება. C ჰეპატიტს წამყვანი ადგილი უჭირავს მსოფლიოში ავადობის, სიკვდილობის, ჰოსპიტალიზაციისა და შრომისუნარიანობის მაჩვენებლების დაქვეითების თვალსაზრისით. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მონაცემებზე დაყრდნობით, დღეისათვის მსოფლიოში C ჰეპატიტის ვირუსით (HCV) ინფიცირებულია დაახლოებით 130-150 მილიონი ადამიანი. C ჰეპატიტი ღვიძლის ტერმინალური დაავადებების, ციროზის, ჰეპატოცელულური კარცინომისა და ღვიძლის უკმარისობის განვითარების ყველაზე ხშირი მიზეზია. ბოლო მონაცემებით, მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაახლოებით 5-6 000 პაციენტს უტარდება ტრანსპლანტაცია ღვიძლის უკმარისობის გამო, რაც გამოწვეულია C ჰეპატიტის ვირუსით. C ჰეპატიტის პრობლემურობას ისიც განაპირობებს, რომ დღემდე არ არის შემუშავებული ეფექტური საპროფილაქტიკო საშუალებები, როგორცაა ვაქცინა ან სპეციფიკური იმუნოგლობულინი. აქედან გამომდინარე, დაავადებასთან ბრძოლის ერთადერთი ეფექტური საშუალება ანტივირუსული მკურნალობაა. C ჰეპატიტის გლობალური პრობლემის აღმოფხვრის გზა დაავადების პროფილაქტიკასთან ერთად მისი მაქსიმალურად ეფექტური მკურნალობაა, რაც მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ამჟამად მსოფლიოში არსებული ანტივირუსული პრეპარატების სიმრავლის ფონზე მნიშვნელოვანია მკურნალობის დაწყებამდე დაავადების გამოსავლის სწორი პროგნოზირება და შესაფერისი მკურნალობის რეჟიმის თუ ხანგრძლივობის შერჩევა HCV ვირუსის თუ მასპინძლის ფაქტორების გათვალისწინებით.

1.2 მიზანი

აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენს C ჰეპატიტით ავადმყოფებში HCV ვირუსის და მასპინძლის ფაქტორების მნიშვნელობის შესწავლა დაავადების გამოსავლის პროგნოზირებისათვის.

1.3 ამოცანები

1. მასპინძლის გენეტიკური ფაქტორის, ინტერლეიკინ 28 B გენოტიპის პროგნოზული ღირებულების შესწავლა მწვავე C ჰეპატიტისგან თვითგანკურნებში;
2. HCV რნმ-ის ადრეული შემცირების (ულტრასწრაფი ვირუსული პასუხის) და ინტერლეიკინ 28 B გენოტიპის კომბინაციის პროგნოზული ღირებულების დადგენა ანტივირუსულ მკურნალობაზე მყოფ პაციენტებში განკურნების პროგნოზირების მიზნით;
3. საქართველოში გავრცელებული HCV გენოტიპების როლის შესწავლა ანტივირუსული მკურნალობის გამოსავლის პროგნოზირებისათვის;
4. საქართველოში გავრცელებული HCV გენოტიპების მოლეკულური მახასიათებლების შესწავლა, ქვეყანაში მოცირკულირე რეკომბინანტული ფორმების აღმოჩენის მიზნით.

1.4 მეცნიერული სიახლე

ნაშრომში წარმოვადგინეთ ინტერლეიკინ 28 B გენოტიპის პროგნოზული ღირებულება მწვავე ჰეპატიტისგან სპონტანურ გამოჯანმრთელებაში.

დავადგინეთ ანტივირუსული მკურნალობისას HCV რნმ-ის რაოდენობის ადრეული შემცირების (ულტრასწრაფი ვირუსული პასუხი) და ინტერლეიკინ 28 B გენოტიპის კომბინაციის მაღალი პროგნოზული ღირებულება.

დავადგინეთ საქართველოში მაცხოვრებელი, სხვადასხვა HCV გენოტიპებით ინფიცირებული პაციენტების განკურნების მაჩვენებლები ორმაგი თერაპიის გამოყენების შემთხვევაში.

დავადგინეთ საქართველოში მაცხოვრებელი, HCV მეორე გენოტიპით ინფიცირებული პაციენტების განკურნების დაბალი მაჩვენებლების მიზეზი.

პირველად საქართველოში გავშიფრეთ HCV ვირუსის გენოტიპების სტრუქტურული და არასტრუქტურული გენების ნუკლეოტიდური თანამიმდევრობები და აღმოვაჩინეთ მეორე გენოტიპების რეკომბინანტული ფორმის, კერძოდ RF1_ 2k/1b მაღალი გავრცელება გამოკვლეულ პოპულაციაში. დავადგინეთ, რომ საქართველოში გავრცელებული მეორე გენოტიპებიდან დაახლოებით 70% ჰიბრიდული ვირუსი RF1_2k/1b-ია, რისი საქართველოში გავრცელება მთელ მსოფლიოში რეკომბინანტული ფორმა RF1_ 2k/1b-ის გავრცელებას მინიმუმ 20-ჯერ აღემატება.

შევიმუშავეთ გარკვეული რეკომენდაციები საქართველოში გავრცელებული HCV მეორე გენოტიპით პაციენტებისთვის. კერძოდ, დავადგინეთ, რომ HCV მეორე გენოტიპით პაციენტებში აუცილებელია ვირუსის გენეტიკური მასალის გამიფრვა RF1_2k/1b ფორმების აღმოჩენის მიზნით, ხოლო ამ ფორმით ინფიცირებული პაციენტის მკურნალობის შერჩევას HCV პირველი გენოტიპის ფრაგმენტების გათვალისწინების აუცილებლობა.

1.5 საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომები

- **Karchava M**, Sharvadze L, Chkhartishvili N, Nelson K, Gochitashvili N, Gatserelia L, Dvali N, Dolmazashvili E, Dzigua L, Badridze N, Zhamutashvili M, Tsertsvadze T. **IL28B favorable genotype and ultrarapid viral response as the earliest treatment predictors of a sustained viral response in a Georgian cohort infected with the hepatitis C genotype 1.** *Eur J Gastroenterol Hepatol.* 2012 Jul;24(7):817-23.
- Tsertsvadze T, **Karchava M**, Sharvadze L, Gatserelia L, Dolmazashvili E. **Discrepancy between HCV Structural and Non structural Genes in Georgian Genotype two Patients.** *Georgian Med News.* 2014 Oct;(235):74-8.
- **Karchava M**, Waldenström J, Parker M, Hallack R, Sharvadze L, Gatserelia L, Chkhartishvili N, Dvali N, Dzigua L, Dolmazashvili E, Norder H, Tsertsvadze T. **High Incidence of the Hepatitis C Virus Recombinant 2k/1b in Georgia: Recommendations for Testing and Treatment.** *Hepatology Research. Accepted.*

1.6 საერთაშორისო კონფერენციებში წარმოდგენილი ზეპირი და პოსტერ პრეზენტაციები

- Sharvadze L, Chkhartishvili N, Bolokadze N, Gabunia P, Dvali N, **Karchava M**, Dolmazashvili E, Chokoshvili O, Abutidze A., Tsertsvadze T. Effectiveness of antiretroviral treatment program in Georgia. AIDS XVII Congress. August 3-8 2008 Mexico City, Mexico.
- T. Tsertsvadze, L. Sharvadze, N. Gochitashvili, **M. Karchava**. Efficacy and safety of filgrastim in HIV/AIDS patients with bacterial infections. 18th European Congress of Clinical Microbiology and Infectious Diseases. 19-22 April 2008. Barcelona, Spain.
- **Karchava M**, Sharvadze L, Tsertsvadze T, Dzigua L, Chkhartishvili N. Initial HCV viral load decline during antiviral treatment is a strong predictor for SVR among genotype 1

patients without liver fibrosis". 25th IUSTI- EUROPE. September 23- 25.2010. Tbilisi, Georgia.

- **Karchava M**, Sharvadze L, Gatserelia L, Tsertsvadze T. Prevailing HCV genotypes and subtypes among HIV infected patients in Georgia. 14th International Congress on Infectious Diseases (ISID) March 9-12, 2010. Miami, Florida, USA.
- **Karchava M**, Sharvadze L, Dolmazashvili E, Abutidze A, Gatserelia L, Dvali N, Dzigua L, Tsertsvadze T. Correlation between HIV viral load, increased fibrogenesis and HCV genotypes among HIV positive patients in Georgia. 20th European Congress of Clinical Microbiology and Infectious Diseases. 10-13 April 2010. Vienna, Austria.
- **Karchava M**, Sharvadze L, Dvali N, Dzigua L, Gatserelia L, Chkhartishvili N, Tsertsvadze T. Current Treatment of Hepatitis C and Future Perspectives. 25 IUSTI Conference, September 23-25, 2010, Tbilisi, Georgia.
- Sharvadze L, **Karchava M**, Gatserelia L, Chkhartishvili N, Dolmazashvili E, Dvali N, Badridze N, Tsertsvadze T. Prognostic value of IL28B for spontaneous clearance from HCV infection. International Meeting on Emerging Diseases and Surveillance (IMED 2011), February 4-7, 2011. Vienna, Austria
- **Karchava M**, Sharvadze L, Dolmazashvili E, Zhamutashvili M, Iobashvili T, Chkhartishvili N, Abutidze A, Gatserelia L, Dvali N, Dzigua L, Tsertsvadze T. Super early viral response and IL28 B genotype as the strong predictor for SVR for HCV Genotype 1 patients. International Meeting on Emerging Diseases and Surveillance (IMED 2011), February 4-7, 2011. Vienna, Austria.
- **Karchava M**, Tsertsvadze T, Sharvadze L, Dolmazashvili E, Zhamutashvili M, Abutidze A, Gatserelia L, Chkhartishvili N. HCV RNA Decline within First and Second Weeks of HCV Treatment is a Strong Predictor for SVR among Genotype 1 Patients. The 21st Conference of the Asian Pacific Association for the Study of the Liver, APASL. February 17-20, 2011. Bangkok, Thailand.
- **Karchava M**, Sharvadze L, Iobashvili T, Dvali N, Dzigua L, Gatserelia L, Tsertsvadze T. IL28B genotypes among HIV infected patients co-infected with HCV G2 and G3 genotypes in Georgia. 6th IAS Conference on HIV Pathogenesis, Treatment and Prevention 17-20 July 2011, Rome, Italy
- Tsertsvadze T, **Karchava M**, Sharvadze L, Chkhartishvili N, Gatserelia L, Dvali N, Dzigua L,. IL28B favorable genotype and ultrarapid viral response as the earliest treatment predictors of a sustained viral response in Georgian patients infected with the hepatitis C

genotype 1. 14 International Symposium of Viral Hepatitis and Liver Diseases (ISVHLD), Shanghai, China, June 22-25, 2012.

- **Karchava M.** Molecular epidemiology of HCV in Georgia. HCV 2k/1b recombinant strain among HCV genotype 2 patients in Georgia. US-Georgia Partnership in Science.US-Georgia Program-Development Workshop on HIV/AIDS, Tuberculosis (TB) and Hepatitis. June 16-18, 2014; Tbilisi, Georgia
- **Karchava M,** Waldenstrom J, Parker M, Hallack M, Sharvadze L, Gatsrelia L, Chkhartishvili N, Dvali N, Dzigua L, Dolmazashvili E, Norder H, Tsertsvadze T. HCV 2k/1b Recombinant Form among Hepatitis C Infected Genotype 2 Patients in Georgia CROI 2015, Seattle, USA, February 22-25, 2015.

2. ლიტერატურის მიმოხილვა


2.1 C ჰეპატიტის აქტუალობა

C ჰეპატიტი მსოფლიო ჯანდაცვის უაღრესად აქტუალური პრობლემაა და მისი მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება. C ჰეპატიტს წამყვანი ადგილი უჭირავს მსოფლიოში ავადობის, სიკვდილობის, ჰოსპიტალიზაციის და შრომისუნარიანობის მაჩვენებლების დაქვეითების თვალსაზრით (WHO, 2014).

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მონაცემებზე დაყრდნობით, დღეისათვის მსოფლიოში C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებულია დაახლოებით 130-150 მილიონი ადამიანი (WHO, 2014). C ჰეპატიტი ღვიძლის ტერმინალური დაავადებების, ციროზის, ჰეპატოცელულური კარცინომისა და ღვიძლის უკმარისობის განვითარების ყველაზე ხშირი მიზეზია (WHO, 2014). ბოლო მონაცემებით, მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაახლოებით 5-6 000 პაციენტს უტარდება ტრანსპლანტაცია ღვიძლის უკმარისობის გამო, რაც გამოწვეულია C ჰეპატიტის ვირუსით ("2009 Annual Report of the U.S. Organ Procurement and Transplantation Network and the Scientific Registry of Transplant Recipients: Transplant Data 1999–2008.," 2010).

ქრონიკული C ჰეპატიტით ყოველწლიურად მსოფლიოში ავადდება 4 მილიონი ადამიანი, ხოლო დაახლოებით 350 000-500 000 პაციენტი იღუპება ამ დაავადების ღვიძლისმიერი გართულებებისაგან (Davila, Morgan, Shaib, McGlynn, & El-Serag, 2004; Hoofnagle, 2004; Mandell; WHO, 2014).

სურათი № 1. C ჰეპატიტის პრევალენტობა და გენოტიპების განაწილება მსოფლიოში



C ჰეპატიტით მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 3 %- ია ინფიცირებული, თუმცა ვირუსის გავრცელება განსხვავებულია გეოგრაფიული რეგიონების თუ ქვეყნების მიხედვით. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებში დაახლოებით 4 მილიონი ადამიანია ინფიცირებული. სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში, 2001-2002 წელს ჩატარებული მონაცემების მიხედვით, C ჰეპატიტის პრევალენტობა 6.3%-ია (Perez, Suarez, Torres, Roman, & Colon, 2005), მექსიკაში 1.2% (Uribe & Mendez-Sanchez, 2002) ხოლო ჩილეში 0.3% (Munoz et al., 1998). ევროპის ქვეყნებში C ჰეპატიტის პრევალენტობა დაახლოებით 1 % ია (Touzet et al., 2000) და ვარიებს ქვეყნების მიხედვით, მაგალითად, ბელგიაში 0.87% (Van Damme, Thyssen, & Van Loock, 2002), იტალიაში 3.2% (Tiribelli, 2002), საფრანგეთში 1.3% (Pradat et al., 2001), რუსეთში 1.3 % (Ogarkov, Malyshev, Tokmakov, & Smirnov, 2004), თუმცა ცვალებადობს 3.1-3.8 %-მდე რეგიონების მიხედვით.

C ჰეპატიტის პრობლემურობას ისიც განაპირობებს, რომ დღემდე არ არის შემუშავებული ეფექტური საპროფილაქტიკო საშუალებები, როგორცაა ვაქცინა ან სპეციფიკური იმუნოგლობულინი. აქედან გამომდინარე, დაავადებასთან ბრძოლის ერთადერთი ეფექტური საშუალება ანტივირუსული მკურნალობაა.

2.2 C ჰეპატიტის ეპიდემიოლოგიური სიტუაცია საქართველოში

C ჰეპატიტის პრობლემა საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ბოლო ეპიდემიოლოგიური კვლევის მონაცემებით, რომელიც ჩატარდა 2000-2002 წლებში, ზრდასრული ჯანმრთელი მოსახლეობის დაახლოებით 6.7% ინფიცირებულია C ჰეპატიტის ვირუსით (Stvilia et al., 2006). საქართველოში C ჰეპატიტის გავრცელების მაჩვენებელი უსწრებს ევროპის ქვეყნებისას და ჩამორჩება ეგვიპტეს (Eassa, Eissa, Sharaf, Ibrahim, & Hassanein, 2007; Mohamoud, Mumtaz, Riome, Miller, & Abu-Raddad, 2013; Paez Jimenez et al., 2010).


საქართველოში განსაკუთრებულ პრობლემურობას რისკჯგუფებში დაავადების ეპიდემია წარმოადგენს, კერძოდ, დაავადება კონცენტრირებულია ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებში (70,4%) (Stvilia, et al., 2006), აივ ინფიცირებულებში 58% (Badridze, Chkhartishvili, Abutidze, Gatsrelia, & Sharvadze, 2008), ტუბერკულოზით დაავადებულებში (22%)(Richards et al., 2006) და სისხლის დონორებში (6,9%)(Butsashvili et al., 2001).

საქართველოში 2012-2013 წელს დიაგნოზირებული ახალი შემთხვევებიდან 9.4% მწვავე, ხოლო 90.6% - ახლად გამოვლენილ ქრონიკულ შემთხვევებზე მოდის. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით C ჰეპატიტის ავადობის მაქსიმალური მაჩვენებელი 30-59 წლის მოსახლეობაში აღინიშნება, ხოლო დაავადების ინსიდენტობა 2012-13 წლების მონაცემებით 100 000 მოსახლეზე 45.5 შემთხვევას შეადგენს.

2.3 C ჰეპატიტის ვირუსი

C ჰეპატიტის ვირუსი ჰეპატოტროპული ვირუსია, რომელიც დაახლოებით 30-50 ნანომეტრის სიდიდისაა და მის გენეტიკურ მასალას წარმოადგენს რნმ-ის ერთმაგი ჯაჭვი. რნმ-ს გარს აკრავს ლიპიდური კაპსულა, ხოლო გენომი აკოდირებს პოლიპროტეინს (Kaito et al., 1994), რომელიც წარმოდგენილია 9600 ნუკლეოტიდით და დაყოფილია სტრუქტურულ (**core** და **envelope**) და არასტრუქტურულ (**NS1, NS2, NS3, NS4A, NS4B, NS5A** და **NS5B**) უბნებად (სურათი №2).

სურათი №2. C ჰეპატიტის ვირუსის გენი და კოდირებული პოლიპროტეინი



ვირუსის ტერმინალური დაბოლოებები 5' და 3' მიმართულებით ქმნის არაცვალებად/არატრანსლირებად უბნებს (NTR), რომლებიც არ მონაწილეობს ცილების სინთეზში, თუმცა მთავარ როლს ასრულებს ვირუსის რეპლიკაციისა და ტრანსლაციის პროცესში. ვირუსის გენომის მე-5' დაბოლოებას, რომელიც დაახლოებით 341 ნუკლეოტიდის სიგრძისაა, ახასიათებს რიბოსომების შეკავშირების უნარი (IRES) (Jubin, 2001; Tsukiyama-Kohara, Iizuka, Kohara, & Nomoto, 1992; Wang, Sarnow, & Siddiqui, 1993), რაც ვირუსის რეპლიკაციის ინიცირებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს (Penin, Dubuisson, Rey, Moradpour, & Pawlotsky, 2004; Rosenberg, 2001).

არასტუქტურული ცილები წარმოადგენილია სხვადასხვა ფერმენტით (მეტალოპროტეაზა, სერინპეპტიდაზა, რნმ ფელიკაზა, რნმ დამოკიდებული რნმ პოლიმერაზა), რომლებიც ასევე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ვირუსის რეპლიკაციაში (Gale & Foy, 2005; Lindenbach & Rice, 2005; Penin, 2003; Sklan, Charuworn, Pang, & Glenn, 2009).

2.4 C ჰეპატიტის ვირუსის გენეტიკური სახესხვაობები

C ჰეპატიტის ვირუსის განსაკუთრებულ თავისებურებას მისი გენეტიკური არაერთვაროვნება წარმოადგენს, რაც ნუკლეოტიდების თანამიმდევრობების ცვლილებებში გამოიხატება. ეს გენეტიკური განსხვავება, რომელიც ნუკლეოტიდების 30-50%-ს შეადგენს, საფუძვლიანია ვირუსის 6 სხვადასხვა გენოტიპის, 50 სუბტიპის, 100 ზემოთ იზოლატის და კვაზისახეობების არსებობისა (Bukh, Miller, & Purcell, 1995; Simmonds et al., 1993). სამეცნიერო კვლევების შედეგებმა ცხადყო, რომ C ჰეპატიტის გენოტიპებსა და დაავადების ბუნებრივ მიმდინარეობას შორის კავშირი არ არსებობს (Benvegnu et al., 1997), თუმცა მნიშვნელოვანია გენოტიპების განსაზღვრა მკურნალობის ეფექტურობის პროგნოზირების, სამკურნალო რეჟიმების შერჩევის თუ მკურნალობის ხანგრძლივობის დაგეგმვის თვალსაზრისით (Hnatyszyn, 2005; O'Brien, 2013; Zein, 2000).


გარდა ცნობილი 6 გენოტიპისა და სუბტიპებისა, სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილია ისეთი ფორმებიც, რომელთა გენომში ინტეგრირებულია ნუკლეოტიდების ფრაგმენტები სხვადასხვა გენოტიპისგან (Kalinina, Norder, Mukomolov, & Magnius, 2002). ჰიბრიდული ვირუსი რეკომბინაციის ბუნებრივი პროცესის შედეგადაა წარმოქმნილი და ასეთ ფორმებს რეკომბინანტული ფორმები (RF) ეწოდებათ. აივ ვირუსისგან განსხვავებით, რეკომბინანტული ფორმების წარმოქმნა C ჰეპატიტის შემთხვევაში იშვიათია. ასეთი ფორმების არსებობა სამეცნიერო წრეებში სკეპტიციზმსა და ოპონირებას იმსახურებს. მიუხედავად ამისა, აღწერილია არაერთი შემთხვევა, სადაც წარმოდგენილია რეკომბინანტული ფორმების არსებობის დამადასტურებელი, ვირუსის გენეტიკური მასალის გაშიფრვის შედეგად მიღებული ნუკლეოტიდების სრული თანამიმდევრობები (full length genome). აღნიშნულ კვლევებში დეტალურადაა აღწერილი რეკომბინაციის უბანში, კერძოდ, არასტრუქტურულ NS2 და NS3 უბნებში მიმდინარე ცვლილებები ნუკლეოტიდების დონეზე. ასევე შესწავლილია განსხვავება შვილეულ, ჰიბრიდული ფორმებსა და მშობლისეულ ფორმებს შორის (Kalinina, Norder, & Magnius, 2004).

2.5 C ჰეპატიტის ვირუსის სასიცოხლო ციკლი

C ჰეპატიტის ვირუსით პაციენტის ინფიცირებისთანავე ხდება ვირუსისა და

ჰეპატოციტის რეცეპტორების ურთიერთქმედება, რის შედეგად ხდება ვირუსის შეჭრა ციტოპლაზმაში და რნმ-ის გამოთავისუფლება ვირუსის გარსიდან.

სურათი № 3. C ჰეპატოციტის ვირუსის სასიცოხლო ციკლი



გამოთავისუფლებული რნმ-ი ასრულებს საინფორმაციო რნმ-ის როლს, უკავშირდება რიბოსომას და საფუძველს უდევს რნმ-ის ტრანსლირებას პოლიპროტეინად. პოლიპროტეინი წარმოადგენს სტრუქტურას, რომელიც შედგება 10 ცილისგან. ამათგან არასტრუქტურული ცილები უკავშირება ჰეპატოციტში არსებულ ციტოფილინ A-ს. ციტოფილინთან არასტრუქტურული გენების კავშირი წარმოქმნის ფუნქციურად აქტიურ რეპლიკაციის კომპლექსს, რაც საფუძველად უდევს რნმ-ის ტრანსლაციას პროტეაზას, ჰელიკაზას, რნმ დამოკიდებული რნმ პოლიმერაზას და სხვა ფერმენტების დახმარებით. რეპლიკაციის შედეგად მიღებული ვირუსული რნმ-ი შემდგომში გადის ენკაპსიდაციის, გოლჯის კომპლექსში მომწიფების და ჰეპატოციტიდან გამოთავისუფლების საფეხურებს (Honda et al., 1996; Kieft, Zhou, Jubin, & Doudna, 2001;

Okamoto et al., 1990; Otto & Puglisi, 2004; Spahn et al., 2001; T. Tanaka, Kato, Cho, Sugiyama, & Shimotohno, 1996). C ჰეპატიტით ქრონიკული ინფექცია აივ-ის და B ჰეპატიტით ინფექციისაგან განსხვავებულია, რადგან ამ დროს არ ხდება ვირუსის ინტეგრირება ჰეპატოციტში, სწორედ ამიტომ ქრონიკული C ჰეპატიტი ერთადერთი ქრონიკული დაავადებაა, რომლისგან განკურნება შესაძლებელია.

C ჰეპატიტის ვირუსს ახასიათებს პირდაპირი ციტოპათიური ეფექტი ჰეპატოციტზე, რაც იწვევს ციტოლიზს და დაზიანებული ჰეპატოციტის კლირენსს, თუმცა სწრაფი სანაცია არ ხდება, რაც განპირობებული ვირუსის სუსტი იმუნოგენურობით (Gonzalez-Peralta, Davis, & Lau, 1994).

2.6 იმუნური პასუხები

C ჰეპატიტით პაციენტის ინფიცირების ანუ ჰეპატოციტებში ვირუსის შეჭრის პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ვირუსის გარსის ცილები, რომლებიც უკავშირდება ჰეპატოციტის ზედაპირზე არსებულ რეცეპტორებს. ჰეპატოციტების ზედაპირული რეცეპტორებიდან ვირუსის მასპინძლის უჯრედში შეჭრაში მონაწილეობს CD81, დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები (LDL receptor), C ტიპის ლექტინი (DC-SIGN და L-SIGN), SR-BI, Claudin-1, Occludin და სხვა ფაქტორები (Acton et al., 1996; Bartosch et al., 2003; Catanese et al., 2007; Kohaar et al., 2010; Maillard et al., 2006; Zeisel, Barth, Schuster, & Baumert, 2009).

C ჰეპატიტის ვირუსს გააჩნია უნიკალური უნარი, გაუსხლტეს იმუნიტეტის ზეწოლას ზედაპირული ანტიგენების სწრაფი და პერმანენტული ცვალებადობის საფუძველზე. ასეთ ფენომენს კვაზისახეობა ეწოდება და მისი პროდუქციის სიჩქარე 10^{10} - 10^{11} აღემატება დღე-ღამეში. მოცირკულირე კვაზისახეობებს შორის გენეტიკური სხვაობა 10-15% შეადგენს. ეს ცვლილება აღემატება T და B ლიმფოციტების ბუნებრივ შესაძლებლობას, ამოიცნოს განუწყვეტლად განახლებადი ანტიგენები. ვირუსის სწორედ ეს თვისება განაპირობებს პერსისტენტული ინფექციის ჩამოყალიბებას (Walters et al., 2009). ვირუსის ანტიგენებიდან განსაკუთრებული ცვალებადობის უნარით გამოირჩევა ზედაპირული ანტიგენები, კერძოდ, ვირუსის გარსის E1, E2/NS1 სეგმენტები, ეგრეთ წოდებული ჰიპერვარიანტული ზონები, რომელიც იმუნური

სისტემის ძირითადი სამიზნე უბნებია (Kato et al., 1993). ცნობილია კვლევები, სადაც ავტორები თვლიან, რომ სწორედ პირველი გენოტიპის ჰიპერვარიაბელურ უბნებს ახასიათებს მუტაციის განვითარების ყველაზე სწრაფი ტემპი, რაც საფუძვლად უდევს ამ გენოტიპის ქრონიზაციის მაღალ, ხოლო ინტერფერონით მკურნალობის შემთხვევაში განკურნების დაბალ მაჩვენებლებს. დაავადების ქრონიზაციაში ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს პეპტიდური ინდუციების უნარი, რაც T ლიმფოციტების რეცეპტორების ანტაგონისტური თვისებებით გამოიხატება. ეს თავისებურება ასევე ჰელპერული და ციტოტოქსიური აქტივობის ბლოკირებით აიხსნება.

C ჰეპატიტის, როგორც პერსისტენტული ინფექციის კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება, ვირუსის ექსტრაჰეპატური გამოვლინებებია (Galossi, Guarisco, Bellis, & Puoti, 2007; Sansonno et al., 2004), რაც განპირობებულია ვირუსის უნარით, შეაღწიოს ლიმფოციტებსა და მაკროფაგებში. ასეთ შემთხვევაში ვირუსი მიუწვდომელია იმუნური პასუხისათვის და მისი ეს თვისება ქრონიზაციის ერთ-ერთი საფუძველია.

C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგოდ განვითარებულ ადგილობრივ და ზოგად იმუნურ პასუხზე პასუხისმგებელია: NK უჯრედები, NKT უჯრედები და ღვიძლის მაკროფაგები, ეგრეთ წოდებული კუფერის უჯრედები, ასევე ინფიცირებული უჯრედებიდან ინტერფერონის საპასუხო პროდუქცია.

NK და NKT უჯრედების როლი პირდაპირი ციტოპათიური ეფექტია, რაც ხორციელდება პერფორინისა და გრანზიმის პროდუქციით. ეს უჯრედები ასევე აპროდუცირებენ მეორე ტიპის ინტერფერონ გამას (Gattoni, Parlato, Vangieri, Bresciani, & Derna, 2006). იმუნური პასუხისათვის მნიშვნელოვანი როლი უჭირავს პირველი ტიპის ინტერფერონების: ალფას და ბეტას პროდუქციას (Peters, 1996; Tilg, 1997), რისი სინთეზიც რნმ-ის ორმაგი ჯაჭვის პროდუქციის პროცესში აქტივირდება. რნმ-ის ორმაგი ჯაჭვის ამოცნობა სპეციფიური რეცეპტორების საშუალებით (Toll like receptor 3 (TLR-3) ხორციელდება (Alexopoulou, Holt, Medzhitov, & Flavell, 2001).

პირველი ტიპის ინტერფერონების პროდუქციას გადამწყვეტი როლი ენიჭება ვირუსული ინფექციისაგან თავდაცვისათვის ინფიცირების საწყის ეტაპზე (Makiyama et al., 2006; Zeuzem, Schmidt, Lee, Ruster, & Roth, 1996; Zeuzem et al., 1998).

ჰუმორული იმუნიტეტის კომპონენტებიდან C ჰეპატიტის ინფექციასთან ბრძოლაში საგულისხმოა ანტისხეულების გამომუშავება B უჯრედების მიერ და ასევე CD4+ T ჰელპერების და CD8+ ციტოტოქიური T ლიმფოციტების მიერ გამომუშავებული უჯრედული იმუნური პასუხი (Diepolder et al., 1996; Thimme et al., 2001).

CD4+ T ჰელპერები იწვევენ მაკროფაგების, ანტიგენ სპეციფიური B უჯრედების და CD8+ T უჯრედების აქტივაციას. CD8+ T უჯრედები თავის მხრივ ამოიციფობენ ინფიცირებულ უჯრედს, უზრუნველყოფენ მის ციტოლიზს და ასტიმულირებენ ინტერფერონ გამას და TNF α -ს სეკრეციას, რაც თავის მხრივ ბლოკავს ვირუსის რეპლიკაციას მასპინძელი უჯრედის დაზიანების გარეშე.(Diepolder, et al., 1996).

2.7 მკურნალობის თანამედროვე პრინციპები

ბოლო დროს C ჰეპატიტის მკურნალობაში დიდი წარმატებებია მიღწეული (Afdhal, Reddy, et al., 2014; Afdhal, Zeuzem, et al., 2014; Hezode, Hirschfield, et al., 2014; Manns et al., 2014; Reddy et al., 2014; Vierling et al., 2014; Wedemeyer et al., 2014). C ჰეპატიტი ამჟამად ერთადერთი ქრონიკული ინფექციაა, რომლისგანაც სრული განკურნება შესაძლებელია.

ბოლო დრომდე ქრონიკული C ჰეპატიტის სამკურნალოდ მიღებული ერთადერთი ეფექტური საშუალება პეგილირებული ინტერფერონის და რიბავირინის კომბინაცია იყო, რომელიც მთელ მსოფლიოში ე.წ. „სტანდარტული ორმაგი თერაპიის“ სახელწოდებითაა ცნობილი. „სტანდარტული ორმაგი თერაპიის“ ეფექტურობა და ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად განსხვავებულია სხვადასხვა გენოტიპით ინფიცირებისას. HCV პირველი გენოტიპით ავადმყოფებში მკურნალობის ხანგრძლივობა 48-72 კვირაა, განკურნების ალბათობა - საშუალოდ 40-42% (Manns et al., 2001; Zeuzem, 2004), HCV მეორე და მესამე გენოტიპით ავადმყოფებში მკურნალობის ხანგრძლივობა 24-48 კვირაა, ხოლო განკურნების ალბათობა - 75-80% -ს არ აღემატება. ამ კომბინაციის ნაკლი განკურნების შედარებით დაბალ მაჩვენებლებთან ერთად მკურნალობის გვერდითი ეფექტების სიმრავლე და უკუჩვენებებია (დეკომპენსირებული ციროზი და აუტოიმუნური დაავადებები) ("EASL Clinical Practice Guidelines: management of hepatitis C virus infection," 2011).

სამკურნალოდ გამოყენებული ინტერფერონი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებაა, რომელსაც გააჩნია როგორც პირდაპირი ანტივირუსული, ასევე იმუნომოდულაციური, ანტიპროლიფერაციული, ანთების და სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედება (Foster, 2010).

ინტერფერონის მოქმედება იწყება მის მიერ ჰეპატოციტის მემბრანაზე არსებული სპეციფიკური რეცეპტორის შებოჭვით, რასაც მოყვება უჯრედშიგა პროცესების მთელი კასკადი: ფერმენტების გააქტიურება, უჯრედის პროლიფერაციის სუპრესია, ვირუსით ინფიცირებულ უჯრედში ვირუსის რეპლიკაციის დათრგუნვა, მაკროფაგების ფაგოციტური აქტივობის გაზრდა, ციტო-ტოქსიური უჯრედების გააქტიურება სამიზნე უჯრედების მიმართ, ნატურალური კილერების აქტივაცია, MHC I და MHCII კლასის ანტიგენებისა და სხვადასხვა ციტოკინის ექსპრესიის გაძლიერება და სხვა.


მკურნალობის ოპტიმალური შედეგების მისაღწევად ვირუსის რეპლიკაციის მუდმივი დათრგუნვაა საჭირო, რასაც უკეთესად უზრუნველყოფს პეგილირებული (მოდიფიცირებული) ინტერფერონები, ვიდრე სტანდარტული.

ინტერფერონი C ჰეპატიტის სამკურნალოდ ჰეპატიტის ვირუსის აღმოჩენამდე ჯერ კიდევ 1986 წელს გამოიყენეს (Davis et al., 1989; Di Bisceglie et al., 1990), თუმცა სტანდარტული არაპეგილირებული ინტერფერონის ეფექტურობა 12 კვირის განმავლობაში მონოთერაპიის შემთხვევაში მხოლოდ 6 პროცენტს აღწევდა. შემდგომმა კვლევებმა აჩვენა, რომ 48 კვირის განმავლობაში ინტერფერონით მონოთერაპიის დროს მკურნალობის ეფექტურობა 16 პროცენტამდე გაიზარდა. რიბავირინის დამატებით კი მკურნალობის ეფექტურობა 34 პროცენტს მიუახლოვდა (McHutchison et al., 1998; Poynard et al., 1998). 2001 წლიდან C ჰეპატიტის სამკურნალოდ გამოიყენება პეგილირებული ინტერფერონი რიბავირინთან კომბინაციაში, რამაც ეფექტურობა 54-55% მდე გაზარდა (Lindsay et al., 2001; Reddy et al., 2001; Zeuzem et al., 2000).

რიბავირინი სამკურნალოდ გამოიყენება მხოლოდ ინტერფერონთან კომბინაციაში, რადგან იგი სინერგიულად მოქმედებს ანუ აძლიერებს ინტერფერონის ანტივირუსულ ეფექტს (Neumann et al., 1998). მონოთერაპიის სახით ინფექციის წინააღმდეგ მისი ეფექტი ძალიან მცირეა და პრაქტიკულად არ გამოიყენება (Di Bisceglie et al., 1995;

Hoofnagle, Lau, Conjeevaram, Kleiner, & Di Bisceglie, 1996; Reichard, Yun, Sonnerborg, & Weiland, 1993).

სურათი № 4. C ჰეპატიტის მკურნალობის ისტორია (1968-2011)



უკანასკნელ წლებში შეიქმნა C ჰეპატიტის ვირუსის უჯრედული კულტურის მოდელი, რამაც ხელი შეუწყო ვირუსის სასიცოცხლო ციკლის სიღრმისეულ შესწავლას (Lindenbach et al., 2005). აღნიშნულ მოდელზე ჩატარებული კვლევების საფუძველზე წარმატებით შეისწავლეს ვირუსის სასიცოცხლო ციკლზე პასუხისმგებელი მოლეკულების ბლოკირება „პირდაპირი ანტივირუსული მოქმედების პრეპარატებით“. პირველი გენერაციის „პირდაპირი ანტივირუსული მოქმედების“ მედიკამენტები ტელაპრევირი და ბოცეპრევირი 2011 წლიდან იქნა მოწოდებული და აღიარებული ქრონიკული C ჰეპატიტის სამკურნალოდ (Christensen & Gillessen, 2014; Jacobson et al., 2011; Manns & Cornberg, 2013; Poordad et al., 2011; Sherman et al., 2011; Wartelle-Bladou, Le Folgoc, Bourliere, & Lecomte, 2012; Zeuzem et al., 2011). ეს პრეპარატები უშუალოდ მოქმედებენ პროტეაზას აქტივობაზე და შესაბამისად, ბლოკავენ HCV ვირუსის რეპლიკაციას. ეს პრეპარატები რეკომენდებულია პირველი გენოტიპით ავადმყოფების სამკურნალოდ ეგრეთ წოდებული „სამმაგი თერაპიის“, შემადგენლობაში და ინიშნება პეგილირებულ ინტერფერონთან და რიბავირინთან კომბინაციაში.

ამ მედიკამენტების აღმოჩენამ მნიშვნელოვნად გაზარდა პირველი გენოტიპით ავადმყოფების განკურნების ალბათობა 42 % დან 75 % მდე (Vierling J., 2013), თუმცა პირველი გენერაციის ორივე პრეპარატი გამოირჩევა გვერდითი ეფექტების სიმრავლით, კვებაზე დამოკიდებულებით, გართულებული კომბინაციებითა და მკურნალობის ხანგრძლივობით (Cacoub et al., 2012).

2013 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატების კვებისა და სამკურნალო პრეპარატების ეროვნულმა სააგენტომ C ჰეპატიტის სამკურნალოდ დაუშვა მეორე გენერაციის „პირდაპირი მოქმედების პრეპარატი“ სოფოსბუვირი, რომელიც მოქმედებს პოლიმერაზას აქტივობაზე და ახდენს ვირუსის რეპლიკაციის ბლოკირებას. სოფოსბუვირის მოლეკულა ინტეგრირდება HCV ვირუსის რნმ-ში და ბლოკავს ვირუსული რნმ-ის რეპლიკაციას მისი ნუკლეოტიდების ჯაჭვის დაგრძელების შეჩერებით. სოფოსბუვირით მკურნალობის შემთხვევაში განკურნების პროცენტი HCV პირველი გენოტიპით პაციენტებში 80-100% აღწევს (Kowdley et al., 2013; Rodriguez-Torres et al., 2013). ამ პრეპარატმა გადატრიალება მოახდინა ქრონიკული C ჰეპატიტის მკურნალობაში (ე.წ. “game changer“). სოფოსბუვირი პირველი გენოტიპით ინფიცირებულ პაციენტებში ინიშნება „სამმაგი თერაპიის“ სახით 12 კვირის განმავლობაში, მეორე გენოტიპის შემთხვევაში მხოლოდ რიბავირინთან კომბინაციაში 12 კვირის მანძილზე, ხოლო მესამე გენოტიპის დროს 24 კვირის განმავლობაში (Afdhal, Reddy, et al., 2014; Afdhal, Zeuzem, et al., 2014; Curry et al., 2014; "EASL Clinical Practice Guidelines: management of hepatitis C virus infection," 2014; Hedskog et al., 2014; Hezode, Brainard, et al., 2014; Kowdley, et al., 2013; Pellicelli et al., 2014; Rodriguez-Torres, et al., 2013; Welzel, Dultz, & Zeuzem, 2014; Younossi et al., 2014; Zeuzem et al., 2014). ამ პრეპარატის საშუალებით შესაძლებელი გახდა ქრონიკული C ჰეპატიტის უინტერფერონო რეჟიმით წარმატებული მკურნალობა, რამაც განკურნების დიდი შესაძლებლობა მისცა იმ პაციენტებს, რომელთათვისაც ინტერფერონიანი რეჟიმები უკუნაჩვენებია.

სოფოსბუვირთან ერთად ამერიკის საკვები პროდუქტებისა და სამკურნალო პრეპარატების ეროვნულმა სააგენტომ დაუშვა პრეპარატი სიმეპრევირი, რომელიც ასევე გამოირჩევა მაღალი ეფექტურობითა და უინტერფერონო რეჟიმების გამოყენების შესაძლებლობით, თუმცა რამდენადმე ჩამორჩება სოფოსბუვირიანი კომბინაციების

განკურნების მაჩვენებლებს და რეზისტენტობის განვითარების დაბალი ბარიერი ახასიათებს.

2014 წელს დამტკიცდა ურიბავირინო რეჟიმი, სოფოსბუვირ-ლედიპასვირის კომბინაცია ერთ აბში, რომლის გამოყენებისას ნებისმიერი გენოტიპით ინფიცირებული პაციენტის 100 % იკურნება. აღნიშნული მედიკამენტი ეფექტური და უსაფრთხოა შორსწასული, გართულებული ჰეპატიტების მკურნალობის დროსაც (Afdhal, Reddy, et al., 2014; Afdhal, Zeuzem, et al., 2014).

ქრონიკული C ჰეპატიტის მკურნალობაში მიღწეული წარმატებები თითქმის 100 % -ით განკურნების საწინდარია. სამეცნიერო გათვლებით, თუ ჩატარდა მსოფლიო მოსახლეობის მასიური სკრინინგი, ხოლო დაავადებულთა მკურნალობისათვის გამოიყენებენ „პირდაპირი მოქმედების ანტივირუსულ პრეპარატებს“, 15-20 წელიწადში რეალური იქნება C ჰეპატიტის ელიმინაცია მსოფლიოში (Martin, Hickman, Hutchinson, Goldberg, & Vickerman, 2013; Wedemeyer, et al., 2014).

ამ მოდელის დანერგვას ხელს უშლის პრეპარატების უკიდურესი სიძვირე. კერძოდ, განვითარებულ ქვეყნებში ერთი პაციენტის 3 თვიანი კურსის ღირებულება 60 ათასიდან 168 ათას აშშ დოლარამდე მერყეობს (Feeney & Chung, 2014; Goozner, 2014; Hill & Cooke, 2014; "The price of good health," 2014). შესაბამისად, ამ ტიპის მკურნალობის ფართოდ დანერგვა საქართველოში ჯერ კიდევ სათუთაა (Callaway, 2014).

2.8 C ჰეპატიტის ვირუსის კინეტიკა

C ჰეპატიტის ვირუსის კინეტიკის შესახებ ჩატარებული კვლევების მიხედვით ცნობილია, რომ მკურნალობის დროს IFNα-2b იწვევს HCV რნმ-ის სწრაფ, დოზაზე დამოკიდებულ შემცირებას მკურნალობის დაწყებიდან 24-48 საათის განმავლობაში (Layden, Mika, & Wiley, 2000). ინვივო კვლევებში მეცნიერებმა შეძლეს C ჰეპატიტის ვირუსი კინეტიკის მათემატიკური მოდელირება. გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ C ჰეპატიტის ვირუსის ნახევრად დაშლის პერიოდი 3 დღეს გრძელდება და ყოველდღიურად ვირუსის რაოდენობა აღწევს 1.0×10^{12} -ს (Layden-Almer, Ribeiro, Wiley, Perelson, & Layden, 2003; Neumann, et al., 1998; Zeuzem et al., 2001). შესაბამისად, ვირუსის რაოდენობის სწრაფი შემცირება ინტერფერონის მკურნალობის საწყის ეტაპზე

წარმატებული მკურნალობის ერთ ერთი პრედიქტორია (Major et al., 2004; Sarrazin, 2002). ინტერფერონით მკურნალობის საწყის ეტაპზე ვირუსის რაოდენობის სწრაფი შემცირების ფაზას თან სდევს ნელი ფაზა, რომელიც განსხვავებულია პაციენტებს შორის და დამოკიდებულია დაღუპული ჰეპატოციტების რაოდენობაზე. ვირუსის კლების მეორე ფაზა, რომელიც განპირობებულია პაციენტის ორგანიზმის იმუნური პასუხებით და დაღუპული ჰეპატოციტებით რაოდენობით ასევე წარმატებული მკურნალობის ერთ ერთი წინაპირობაა (Halfon et al., 2003).

2.9 C ჰეპატიტის ვირუსის და მასპინძლის ფაქტორების მნიშვნელობა განკურნების პროგნოზირებისათვის

C ჰეპატიტის დაავადების საფუძველი მისი ქრონიკული, დუნე და ლატენტური მიმდინარეობაა. დაავადებისგან თვითგანკურნება შესაძლებელია ექსპოზირებული პაციენტების 20 %-ში, რომელთაც განუვითარდათ მწვავე C ჰეპატიტი. პაციენტების 80%-ში დაავადება უსიმპტომოდ იწყება და ყალიბდება დაავადების ქრონიკული ფორმა (Al-Quaiz, Madani, & Karawi, 2003; Lee, Yang, Yuan, L'Italien, & Chen, 2014; Strader & Seeff, 1996).

არანამკურნალები მწვავე C ჰეპატიტის დროს სპონტანური გამოჯანმრთელების ალბათობა საშუალოდ 20%-ია, მწვავე ჰეპატიტის ზოგიერთი ფორმის დროს კი 50%-მდე იზრდება. ამიტომ სპონტანური გამოჯანმრთელების პროგნოზული მარკერების ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს მკურნალობის ჩატარების, დროებით გადადების ან არჩატარების გადაწყვეტილების მისაღებად.

ქრონიკული C ჰეპატიტის დროს სპონტანური გამოჯანმრთელება უკიდურესად იშვიათია. მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე კლინიკური შემთხვევაა აღწერილი (Fialaire et al., 1999; Gruener et al., 2002; Somsouk et al., 2003) სადაც სხვადასხვა აგენტით მასპინძლის იმუნური სისტემის გააქტიურებამ გამოიწვია ქრონიკული C ჰეპატიტით დაავადებულთა სპონტანური გამოჯანმრთელება.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ქრონიკული C ჰეპატიტისგან განკურნების ერთადერთი ეფექტური საშუალება ანტივირუსული მკურნალობაა. აღნიშნული მიდგომა, განსაკუთრებით სამმაგი თერაპია, ძალზე ძვირადღირებულია,

ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. მყარი ვირუსული პასუხის მიღების ანუ განკურნების პროგნოზული მარკერების ადრეულ ცოდნას.

საქართველოში ფართოდ ხელმისაწვდომია ორმაგი თერაპია ინტერფერონით და რიბავირინით. წარმატებული ორმაგი მკურნალობა მრავალ ფაქტორზე დამოკიდებულია. მათგან მნიშვნელოვანი ნაწილი მასპინძლის ფაქტორებია, ხოლო მეორე ნაწილი - ვირუსის. მასპინძლის ფაქტორებს განეკუთვნება: რასა, ასაკი, სქესი, წონა, ღვიძლის ფიბროზის ხარისხი, სტეატოზი, ინსულინრეზისტენტობა და სხვა (Chen & Morgan, 2006). ვირუსის ფაქტორებს განეკუთვნება: HCV გენოტიპი და რნმ-ის რაოდენობა მკურნალობის დაწყების მომენტისათვის. ცალკე განიხილება ე.წ. მკურნალობის პერიოდის პროგნოზული მარკერები: სწრაფი (RVR) და ადრეული ვირუსული პასუხი (EVR) და EOTR, cEVR. სწრაფი პასუხი მკურნალობაზე მნიშვნელოვანი დადებითი პროგნოსტული მარკერია, თუმცა უარყოფითი პროგნოზული ღირებულება ადრეულ ვირუსულ პასუხთან შედარებით დაბალი აქვს. მკურნალობის კრიტერიუმებიდან ასევე მნიშვნელოვანია ადრეული ვირუსული პასუხის სახესხვაობები.

ე.წ. პროგნოზული მარკერების საშუალებით შესაძლოა მკურნალობის დაწყებამდე ან მკურნალობის პროცესში გარკვეული პროგნოზის გაკეთება: მკურნალობის მოსალოდნელი ეფექტურობის, მკურნალობის სწორი რეჟიმის შერჩევის, ოპტიმალური ხანგრძლივობის დაგეგმვის შესახებ.

მნიშვნელოვანია სხვადასხვა პროგნოზული მარკერის კომბინაციის გათვალისწინებაც. პროგნოზული მარკერების მონაცემების საფუძველზე ხშირად შესაძლოა მკურნალობისგან თავის შეკავებაც კი.

ბოლო დრომდე განკურნების ყველაზე ძლიერ პროგნოზულ მარკერებად ითვლებოდა ვირუსის გენოტიპი და ე.წ. სწრაფი (RVR) და ადრეული ვირუსული პასუხი (EVR). თუმცა, გაჩნდა ინტერესი ე.წ. ულტრასწრაფი ვირუსული პასუხის მიმართ.

ახალ-ახალი პროგნოზული მარკერების ძიება მუდმივად გრძელდება. 2009 წელს ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა აღმოაჩინა ადამიანის გენეტიკური ფაქტორი, რომელიც დიდ როლს თამაშობდა მწვავე C ჰეპატიტით ავადმყოფების სპონტანურ გამოჯანმრთელებაში (Mangia, 2011; Thomas et al., 2009). შემდგომში გაირკვა,

რომ იგივე ფაქტორი მნიშვნელოვანია ქრონიკული C ჰეპატიტით ავადმყოფების ინტერფერონით მკურნალობის დროსაც (Arends, Fransen, Hoepelman, & van Baarle, 2011; Halfon et al., 2011; Jimenez-Sousa, Fernandez-Rodriguez, Guzman-Fulgencio, Garcia-Alvarez, & Resino, 2013; Lange & Zeuzem, 2011; Suppiah et al., 2009; Y. Tanaka et al., 2009; Thomas, et al., 2009). ამ მარკერის აღმოჩენამ რევოლუციური გადატრიალება მოახდინა C ჰეპატიტისგან განკურნების სფეროში და მან შეცვალა C ჰეპატიტის მკურნალობის თანამედროვე მიდგომები, განსაკუთრებით :ორმაგი თერაპიის“ დროს პირველი გენოტიპით ინფიცირებული პაციენტებისათვის (Halfon, et al., 2011; Rauch et al., 2010).

მეცნიერულად დადასტურდა, რომ მე-19 ქრომოსომაზე არსებული ინტერლეიკინ 28 B გენის სიახლოვეს, რომელიც აკოდირებს ინტერფერონ ლამბდა ერთს, ერთეული ნუკლეოტიდების პოლიმორფიზმი (SNPs) გავლენას ახდენს, როგორც მწვავე C ჰეპატიტისგან სპონტანურ გაჯანმრთელებაზე, ასევე ინტერფერონით მკურნალობის შემთხვევაში განკურნების მაღალ ალბათობაზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უბანს rs12979860, რომელშიც შესაძლოა ერთეული ნუკლეოტიდი ციტოზინი (C) ჩაენაცვლოს ნუკლეოტიდ თიმინით (T). იმ შემთხვევაში, თუ ქრომოსომაში ალელი ჰომოზიგოტურია ციტოზინის ხარჯზე (C/C გენოტიპი) მაღალია თვითგანკურნების ან წარმატებული მკურნალობის ალბათობა და უტოლდება 80%-ს. ორივე ალელში თიმინის (T/T გენოტიპი) ან ჰეტეროზიგოტული C/T გენოტიპის შემთხვევაში თვითგანკურნების და მკურნალობის შედეგად განკურნების ალბათობა გაცილებით ნაკლებს 15-20 და 35-30%-ს შეადგებს (Halfon, et al., 2011; Macias, Vispo, Pineda, & Soriano, 2011).

2.10 C ჰეპატიტის ვირუსის რეკომბინანტული ფორმები

C ჰეპატიტის ვირუსის ერთ ერთი დამახასიათებელი თვისება გენეტიკური ჰეტეროგენულობის მაღალი ხარისხია, რამაც საფუძველი ჩაუყარა 6 გენოტიპის და 80-ზე მეტი სუბტიპის გავრცელებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (Simmonds, 2004; Simmonds et al., 2005). გენეტიკურ არაერთგვაროვნებას საფუძველად უდევს მუტაციების სწრაფი განვითარების უნარი. აღნიშნული მოვლენა აიხსნება ხშირი უზუსტობებით, რომელიც ხდება რნმ დამოკიდებული რნმ პოლიმერაზას რეპლიკაციის დროს.

გენეტიკური ჰეტეროგენულობის მეორე მიზეზი, კერძოდ, ბუნებრივი რეასორტმენტი, C ჰეპატიტის შემთხვევაში არაეფექტურია, რადგან C ჰეპატიტის გენომი არასეგმენტირებულია და შესაბამისად, ინდელების წარმოქმნა შეუძლებელია (Torres-Puente et al., 2007).

გენეტიკური ვარიაციების განვითარების მესამე შესაძლო მიზეზი რეკომბინაციის მოვლენაა. მიუხედავად იმისა, რომ რნმ შემცველი ვირუსებისათვის რეკომბინაცია ჩვეული მოვლენაა, C ჰეპატიტის შემთხვევაში რეკომბინაცია ბოლო დრომდე საექვოდ იყო მიჩნეული (Yun, Lara, Johansson, Lorenzana de Rivera, & Sonnerborg, 1996).

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ვარაუდობს, რომ C ჰეპატიტის შემთხვევაში რეკომბინაციის მოვლენა უკიდურესად იშვიათია, ხოლო ამ მოვლენის შედეგად მიღებული რეკომბინანტული ფორმები არასიცოცხლისუნარიანია (Viazov, Widell, & Nordenfelt, 2000).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილი ზოგიერთი კვლევის თანახმად, მეცნიერები რეკომბინანტული ფორმების წარმოშობასა და განვითარებას შეუძლებლად მიიჩნევენ. სხვადასხვა კვლევებში მეცნიერებმა აღწერეს პაციენტების ორი ან მეტი გენოტიპით და სუბტიპით ინფიცირების არაერთი შემთხვევა, რაც რეკომბინაციისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის, თუმცა აღნიშნულ პაციენტებში რეკომბინანტული ფორმები ვერ აღმოაჩინეს (Bernardin, Herring, Page-Shafer, Kuiken, & Delwart, 2006; Bracho, Carrillo-Cruz, Ortega, Moya, & Gonzalez-Candelas, 2006; Bracho et al., 2008; Gupte, Ramdasi, Kulkarni, & Arankalle, 2010; Hmaied et al., 2007; Kuntzen et al., 2008; Lu et al., 2007; Martro et al., 2011).

2002 წლამდე არ გამოცემულა არც ერთი სამეცნიერო კვლევა, რომელიც დაადასტურებდა რეკომბინანტული ფორმების არსებობას C ჰეპატიტით ინფიცირებულ პაციენტებში, რაც ამყარებდა მეცნიერების სკეპტიციზს რეკომბინანციის მოვლენის შესაძლებლობაზე.

მეცნიერების ეს ჯგუფი რეკომბინაციის მოვლენის გასაქარწყლებლად გარდა ზემოაღნიშნული კვლევებისა იშველიებდა C ჰეპატიტის ვირუსის თავისებურებას, კერძოდ, ჰეპატოციტის სუპერინფექციის შეუძლებლობას. კერძოდ, ერთხელ უკვე ინფიცირებული ჰეპატოციტი დაცულია C ჰეპატიტის სხვა მეორე ვირუსით განმეორებითი ინფიცირებისაგან, ხოლო რეკომბინაციის მოვლენისთვის აუცილებელი

პირობა ერთი და იმავე ჰეპატოციტის ინფიცირებაა ორი განსხვავებული მშობელისეული (parental form) ვირუსით (Tscherne et al., 2007).

ბოლო წლების განმავლობაში წარმოდგენა C ჰეპატიტის რეკომბინაციის მოვლენაზე შეიცვალა. გამოქვეყნდა კვლევები, სადაც აღწერილია როგორც გენოტიპთაშორისი, ასევე სუბტიპთაშორისი რეკომბინაციის ცალკეული შემთხვევები. 2002 წელს კი გამოიცა პირველი დამაჯერებელი კვლევა, სადაც აღმოაჩინეს და დეტალურად შეისწავლეს რეკომბინანტული ფორმები (Kalinina, et al., 2002). ამ კვლევაში კალინინამ აღწერა რეკომბინანტული ფორმა, რომლის გენომში სტრუქტურული გენები წარმოდგენილია 2k გენოტიპით, ხოლო არასტრუქტურული ნაწილი 1b გენოტიპით. მეცნიერთა ჯგუფის დასკვნით, რეკომბინაციის მოვლენა NS2 უბანში 3175 ნუკლეოტიდის დონეზეა ლოკალიზებული. მოგვიანებით, იმავე მეცნიერთა ჯგუფმა გაშიფრა ამ რეკომბინანტული ფორმის სრული გენომი (full length), სადაც მოლეკულურ დონეზე მეცნიერულად დადასტურდა რეკომბინაციის უბანი და ამ რეგიონში მიმდინარე ნუკლეოტიდების ცვლილებები (Kalinina, et al., 2004). ამ კვლევის შედეგებმა საფუძველი ჩაუყარა C ჰეპატიტის რეკომბინანტული ფორმებისათვის ნომენკლატურის შექმნას და ამ ჰიბრიდულ ვირუსს ეწოდა რეკომბინანტული ფორმა 2k/1b (RF1_2k/1b). ამავე მეცნიერებმა შეიმუშავეს თეორია რეკომბინანტული ფორმის შექმნის მოლეკულური მექანიზმების შესახებ, რომლის თანახმად, რეპლიკაციისას ხდება უარყოფითი ჯაჭვის სინთეზის პროცესში მატრიცის შეცვლა, რასაც უზრუნველყოფს HS2 მოლეკულების რნმ დამოკიდებული რნმ პოლიმერაზასთან დაკავშირება. ეს კავშირი რეკომბინაციის მოვლენის დროს უზრუნველყოფს ჯაჭვის დაგრძელებას 3' მიმართულებით. კვლევის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს რეკომბინანტული ფორმების მრავალჯერადად აღმოჩენა არა ერთ, არამედ 6 სხვადასხვა იზოლატში, რაც რეკომბინანტული ფორმების ვირუსის პოპულაციაში ხანგრძლივად ცირკულირებაზე მიუთითებს. პირველი კვლევის გამოქვეყნებას მოჰყვა ერთეული კვლევები, სადაც მეცნიერები აღწერენ რეკომბინანტულ ფორმებს ირლანდიაში, უზბეკეთში, კვიპროსა და საფრანგეთში დიაგნოზირებულ პაციენტებში (Demetriou, Kyriakou, & Kostrikis, 2011; Kurbanov et al., 2008; Moreau et al., 2006; Morel et al., 2010). საინტერესოა ის ფაქტი, რომ შემდგომში აღწერილი რეკომბინანტული ფორმებიდან (RF

2i/6p, RF 2b/1b, RF 2/5, RF 2b/6w, RF 2a/1a, , RF 2b/1a) პრევალირებს ისეთი ფორმები, სადაც სტრუქტურული გენი აუცილებლად წარმოდგენილია HCV მეორე გენოტიპით, ხოლო არასტრუქტურული გენი სხვა რომელიმე მათგანით, მაგალითად, პირველი, მეხუთე, მეექვსე. ერთადერთი შემთხვევა, სადაც მეორე გენოტიპი არ ფიგურირებს რეკომბინანტულ ფორმაში, პირველი და მესამე გენოტიპის რეკომბინაციაა, თუმცა ამ რეკომბინანტულ ფორმაზე ზუსტი და დამაჯერებელი ინფორმაცია სამეცნიერო ლიტერატურაში არ მოიპოვება. სხვადასხვა რეკომბინანტული ფორმის მოლეკულურ დონეზე ჩატარებული კვლევების საფუძველზე მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ რეკომბინაციის ადგილი HCV გენომის NS2 ან NS3 უბანია. მხოლოდ ამ კონკრეტულ უბნებში რეკომბინაციის მოვლენის აღმოჩენა იძლევა იმის საფუძველს, რომ ვივარაუდოთ ამ უბნებში ნუკლეოტიდების თანმიმდევრობის სავარაუდო ცვლილებების თუ ნაკლოვანებების როლი რეკომბინაციის მოვლენის ჩამოყალიბებაში. მეცნიერთა ჯგუფმა, რომელიც მუშაობდა რეკომბინანტული ფორმის წარმოქმნის, ევოლუციისა და გავრცელების საკითხებზე შემოგვთავაზა ჰიპოთეზა, რომ ეს ვირუსი სავარაუდოდ წარმოიქმნა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მეოცე საუკუნეში 1923 – 1956 წლებში (Raghwani et al., 2012). რეკომბინანტული ფორმის ამ წლებში სავარაუდოდ წარმოქმნა დაკავშირებული იყო ყველა რესპუბლიკაში სისხლის ბანკების პროგრამის ფართომასშტაბიან ფუნქციონირებასთან. სისხლის ბანკების პროგრამა დაინერგა 1920 წელს და მოგვიანებით გამოიყენეს მეორე მსოფლიო ომის დროს ფრონტის ხაზის სისხლით მომარაგებისათვის. მეცნიერთა ვარაუდით, ეს ფორმა ერთჯერადად წარმოიქმნა (წარმოშობის მონოფილეთური ბუნება) ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და საფუძველი დაუდო მის შემდგომ გავრცელებას. ამ რეკომბინანტული ფორმების წარმოქმნის მონოფილეთური ბუნების ერთ-ერთი სავარაუდო წინაპირობა ამ პერიოდში სისხლის მასიური დონაცია და C ჰეპატიტზე შეუმოწმებელი სისხლის მრავალჯერადი გადასხმა გახლდათ (DW, 2002). რეკომბინანტული ფორმების სრული გენეტიკური მასალის გაშიფრვამ საბოლოოდ დაადასტურა, რომ ზოგადად HCV ვირუსს აქვს უნარი, დააინფიციროს ერთი და იგივე ჰეპატოციტი ორი სხვადასხვა გენოტიპის ვირუსით, შესაძლებელია ორივე ფორმის ერთდროული რეპლიკაცია, მატრიცის შეცვლა რნმ პოლიმერაზის მეშვეობით და

შემდგომში სიცოცხლისუნარიანი შვილეული რეკომბინანტული ვირიონების ჩამოყალიბება. სიცოცხლისუნარიანმა რეკომბინანტულმა ფორმამ სავარაუდოდ გაუძლო ბუნებრივ გადარჩევას, გახდა დომინანტური ფორმა ორგანიზმში მოცირკულირე ვირუსულ პოპულაციაში და შესაბამისად საფუძველი ჩაეყარა მის შემდგომ გავრცელებას.

2.11 C ჰეპატიტის ვირუსის რეკომბინანტული ფორმების დიაგნოსტიკა და

მკურნალობა

დღემდე რეკომბინანტული ფორმების მკურნალობის შესახებ ჩამოყალიბებული ინფორმაცია არ არსებობს, რადგან განვითარებულ ქვეყნებში რეკომბინანტული ფორმების დიაგნოსტიკა არ ხდება. რეკომბინანტული ფორმების იდენტიფიცირებისათვის აუცილებელია ვირუსის რნმ-ის შესწავლა როგორც HCV სტრუქტურულ, ასევე არასტრუქტურულ უბნებში და ამ ორ ობანს შორის დისკორდანტობის გამოვლენა ფილოგენეტიკური ანალიზით.

დღეისათვის მსოფლიოში C ჰეპატიტის სადიაგნოსტიკოდ ძირითადად გამოყენებულია მეთოდი, რომელიც გენოტიპირების დასადგენად იყენებს მხოლოდ სტრუქტურულ გენში არსებულ ნუკლეოტიდების თანმიმდევრობას, ხოლო არასტრუქტურულ უბნებში არსებული ცვლილებები არ ვლინდება. მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ლაბორატორია სწავლობს ორივე უბნის შედეგებს (კონსენსუს გენოტიპების რეპორტინგი).

C ჰეპატიტის მკურნალობის რეჟიმების შერჩევა და ხანგრძლივობა დამოკიდებულია გენოტიპებზე, შესაბამისად, რეკომბინანტული ფორმების შესწავლა განკურნების პროგნოზირების და წარმატებული მკურნალობისათვის უმნიშვნელოვანესია. რეკომბინანტული ფორმების კლინიკურ მნიშვნელობაზე მწირი ინფორმაცია მოიპოვება რამდენიმე კვლევაში. კვლევა, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას რეკომბინანტული ფორმის დროს ორმაგი თერაპიის ეფექტურობის შესახებ, ჩატარდა საფრანგეთში და გამოქვეყნდა შემთხვევის აღწერის სახით (case report) ქართველ პაციენტში (Morel, et al., 2010). კვლევაში აღწერილი ქართველი პაციენტი ინფიცირებული იყო ორი სხვადასხვა გენოტიპით, კერძოდ, HCV მეორე და მესამე

გენოტიპებით. შესაბამისად პაციენტს ჩაუტარდა HCV მეორე და მესამე გენოტიპებისათვის აღიარებული სტანდარტული „ორმაგი თერაპიის“ კურსი 24 კვირის განმავლობაში. მკურნალობის შემდეგ გაირკვა, რომ პაციენტი განიკურნა HCV მესამე გენოტიპისაგან, თუმცა HCV მეორე გენოტიპისგან განკურნება ვერ მოხერხდა. პაციენტის სისხლის ნიმუშის დამატებითი კვლევის საფუძველზე გაირკვა, რომ პაციენტი ინფიცირებული იყო არა HCV მეორე არამედ რეკომბინანტული ფორმით RF1_2k/1b, რომელიც არ დაემორჩილა სტანდარტული ორმაგი თერაპიის 24 კვირიან კურსს. ავტორებმა ივარაუდეს, რომ HCV გენომში სტრუქტურულ უბანში არსებული პირველი გენოტიპის ფრაგმენტი უარყოფითად მოქმედებდა RF1_2k/1b განკურნების პროცესზე.

მეორე კვლევა, დამაჯერებელ ინფორმაციას გვაწვდის რეკომბინანტული ფორმებით ინფიცირებული პაციენტების სოფოსბუვირით ორმაგი მკურნალობის ეფექტურობაზე (Hedskog, et al., 2014). სტატიის ავტორებმა 2363 პაციენტში აღმოაჩინეს რეკომბინანტული ფორმა RF1_2k/1b-ის 12 შემთხვევა. 12 პაციენტიდან 11 პაციენტს ჩაუტარდა სოფოსბუვიტ და რიბავირინით ორმაგი მკურნალობა 3 თვის განმავლობაში (სტანდარტული რეჟიმი მეორე გენოტიპით პაციენტებისთვის). მკურნალობის დამთავრების შემდეგ 8 პაციენტს (72.7%) განუვითარდა რეციდივი. რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ აღნიშნული მკურნალობის რეჟიმი არ იყო ეფექტური რეკომბინანტული RF1_2k/1b გენოტიპებით ინფიცირებული პაციენტებისთვის და HCV პირველი გენოტიპით პაციენტების განკურნების მაჩვენებელს უტოლდებოდა.

სხვადასხვა კვლევის საფუძველზე უკვე დადგენილია, რომ რეკომბინანტული ფორმა RF1_2k/1b გავრცელებულია საბჭოთა კავშირისა (Kurbanov, et al., 2008; Ramiere et al., 2014) და ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, თუმცა უკიდურესად დაბალი სიხშირით და მხოლოდ მაღალი რისკის მქონე პაციენტებში. ევროპის ქვეყნებში აღმოჩენილი რეკომბინანტული ფორმების უმრავლესობაში აღწერილია ქართველი პაციენტები, ძირითადად ინექციური გზით ნარკოტიკების მომხმარებლები, რომლებიც დაინფიცირდნენ საქართველოს ტერიტორიაზე (Moreau, et al., 2006; Morel, et al., 2010; Raghvani, et al., 2012; Ramiere, et al., 2014).

საქართველოში სხვა ქვეყნებთან შედარებით HCV მეორე გენოტიპებით პაციენტების განკურნების მაჩვენებელი დაბალია, რაც აღრმავებს ექვს საქართველოში რეკომბინანტული ფორმების მაღალი გავრცელების თაობაზე. რეკომბინანტული ფორმების შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც ქვეყანაში C ჰეპატიტის მოლეკულური ეპიდემიოლოგიის შესწავლისათვის, მისი აღმოცენებისა და გავრცელებისათვის, ასევე რეკომბინანტული ფორმის მკურნალობის თავისებურებების დასადგენად.

ევროპის ქვეყნებში რეკომბინანტული ფორმების გავრცელება უკიდურესად იშვიათია (<1%), რითაც აიხსნება მათ მიმართ დაბალი ინტერესი და კვლევების სიმწირე. შესაბამისად, არ არსებობს ამ ფორმით ინფიცირებული პაციენტებისათვის სპეციფიური მკურნალობის რეკომენდაციები.

C ჰეპატიტის როგორც გლობალური ჯანდაცვის პრობლემის აღმოფხვრის ერთადერთი წარმატებული მიდგომა პრევენციულ ღონისძიებებთან ერთად, მაქსიმალურად ეფექტური მკურნალობაა, რაც მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ამჟამად მსოფლიოში არსებული ანტივირუსული პრეპარატების სიმრავლის ფონზე მნიშვნელოვანია მკურნალობის დაწყებამდე დაავადების გამოსავლის სწორი პროგნოზირება და შესაფერისი მკურნალობის რეჟიმის შერჩევა HCV ვირუსის თვისებურებების, გენოტიპების, თუ მასპინძლის ფაქტორების გათვალისწინებით.

3. კვლევის ამოცანები

1. მასპინძლის გენეტიკური ფაქტორის, ინტერლეიკინ 28 B გენოტიპის პროგნოზული ღირებულების შესწავლა მწვავე C ჰეპატიტისგან თვითგანკურნებში;
2. HCV რნმ-ის ადრეული შემცირების (ულტრასწრაფი ვირუსული პასუხის) და ინტერლეიკინ 28 B გენოტიპის კომბინაციის პროგნოზული ღირებულების დადგენა ანტივირუსულ მკურნალობაზე მყოფ პაციენტებში განკურნების პროგნოზირების მიზნით;
3. საქართველოში გავრცელებული HCV გენოტიპების როლის შესწავლა ანტივირუსულ მკურნალობაზე მყოფ პაციენტებში დაავადების გამოსავლის პროგნოზირებისათვის;
4. საქართველოში გავრცელებული HCV გენოტიპების მოლეკულური მახასიათებლების შესწავლა, ქვეყანაში მოცირკულირე რეკომბინანტული ფორმების აღმოჩენის მიზნით.

4. კვლევის მასალები

4.1 კვლევის ობიექტების შერჩევის და გამორიცხვის კრიტერიუმები

მასპინძლის გენეტიკური ფაქტორის, ინტერლეიკინ 28 B გენოტიპის პროგნოზული ღირებულების შესწავლა მწვავე C ჰეპატიტისგან თვითგანკურნებში

მწვავე C ჰეპატიტით ავადმყოფებში ადამიანის გენეტიკური ფაქტორის ინტერლეიკინ 28 B გენოტიპის სპონტანური გამოჯანმრთელების სიხშირესთან კორელაციის შესწავლის მიზნით შევარჩიეთ კვლევის რეტროსპექტიული დიზაინი. ინტერლეიკინ 28 B გენოტიპის შესწავლის მიზნით გამოვიყენეთ მწვავე C ჰეპატიტით 124 ავადმყოფის სისხლის ნიმუში, რომელიც ინახებოდა ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის ლაბორატორიაში. პაციენტების შესახებ დემოგრაფიული ინფორმაცია ამოვიღეთ ავადმყოფობის ისტორიებიდან.

მწვავე C ჰეპატიტით ავადმყოფების სისხლის ნიმუშების შერჩევის კრიტერიუმები იყო მკურნალობის ისტორიაში შემდეგი ჩანაწერები:

- 1) სისხლში HCV რნმ-ის არსებობა;
- 2) ამინოტრანსფერაზების დონის მინიმუმ ათჯერადი მატება;
- 3) წინა ერთი წლის განმავლობაში დოკუმენტირებული HCV ინფექციის არარსებობა.

კვლევაში ჩაურთველობის კრიტერიუმები იყო: B ჰეპატიტით კო-ინფექცია, ქრონიკული HCV ინფექციის არსებობა და HCV ინფექციის სპეციფიური ანტივირუსული მკურნალობა.

მწვავე C ჰეპატიტით ავადმყოფების სპონტანური გამოჯანმრთელების კრიტერიუმები იყო: სისხლში C ჰეპატიტის რნმ-ის გაქრობა ინფიცირებიდან 6 თვის ფარგლებში სპეციფიური ანტივირუსული მკურნალობის გარეშე.

HCV რნმ-ის ადრეული შემცირების (ულტრასწრაფი ვირუსული პასუხის) და ინტერლეიკინ 28 B გენოტიპის კომბინაციის პროგნოზული ღირებულების დადგენა ანტივირუსულ მკურნალობაზე მყოფ პაციენტებში განკურნების პროგნოზირების მიზნით

ქრონიკული C ჰეპატიტით ავადმყოფების კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები იყო:

- 1) ჩართვის მომენტისათვის აქტიური HCV ინფექცია და დადგენილი HCV გენოტიპი;
- 2) წარსულში ინტერფერონით მკურნალობის არარსებობა;
- 3) ღვიძლის ფიბროზის F2/F3 ხარისხი მეტავირით.

კვლევაში ჩაურთველობის კრიტერიუმები იყო: B ჰეპატიტით და/ან აივ/შიდსით კო-ინფექცია, ალკოჰოლური ციროზი, ღვიძლის აუტოიმუნური დაავადებები.

ქრონიკული C ჰეპატიტით 156 ავადმყოფი იღებდა pegIFN α -2a ან pegIFN α -2b სტანდარტული დოზებით (კვირაში 180 mg.ან 1.5mg/kg) წონაზე დამოკიდებულ რიბავირინთან ერთად (1000 მგ <75 კგ, 1200 მგ >75 კგ).

HCV პირველი გენოტიპით ავადმყოფების მკურნალობის ხანგრძლივობა იყო 48-72 კვირა, ხოლო HCV მეორე და მესამე გენოტიპით ავადმყოფების მკურნალობის ხანგრძლივობა - 24-48 კვირა. მკურნალობის შეწყვეტის კრიტერიუმებად მიჩნეულ იყო მკურნალობის მე-12 კვირაზე ვირუსის რაოდენობის არასაკმარისი შემცირება (<2 log) ან განსაზღვრადი HCV რნმ-ი მკურნალობის 24-ე კვირაზე.

საქართველოში გავრცელებული HCV გენოტიპების როლის შესწავლა ანტივირუსული მკურნალობის ეფექტურობის პროგნოზირებისათვის

ანტივირუსულ მკურნალობაზე მყოფ ქრონიკული C ჰეპატიტით პაციენტებში დაავადებისგან განკურნების პროგნოზირების საკითხში ჰეპატიტის გენოტიპების როლი შესწავლის მიზნით შეირჩა კვლევის რეტროსპექტიული დიზაინი. კერძოდ, შევისწავლეთ ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის ბაზაზე არსებული C ჰეპატიტით ინფიცირებული პაციენტების მონაცემები 2003 წლიდან 2011 წლამდე.

პაციენტების შესახებ არსებული დემოგრაფიული ინფორმაცია ამოღებულ იქნა ავადმყოფობის ისტორიებიდან, ხოლო სისხლის ნიმუშები - ლაბორატორიის საცავებიდან. იქიდან გამომდინარე, რომ ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი წარმოადგენს წამყვან ინსტიტუტს ინფექციური პათოლოგიების და მათ შორის ვირუსული ჰეპატიტების სფეროში, საქართველოში დიაგნოზირებული პაციენტების უდიდესი ნაწილი თავს იყრის ამ ბაზაში. ჩვენ შევისწავლეთ მონაცემები 2291 პაციენტისა, რომლებსაც ჩაუტარდათ სრულფასოვანი გამოკვლევები ჰეპატიტის სადიაგნოსტიკოდ, ნაწილს კი - ანტივირუსული მკურნალობა. სულ შეჯამდა 2291 მონაცემები პაციენტებისა, რომლებიც დიაგნოზირებულები იყვნენ 2003 წლიდან 2011 წლამდე.

საქართველოში გავრცელებული HCV გენოტიპების მოლეკულური მახასიათებლების შესწავლა, ქვეყანაში მოცირკულირე რეკომბინანტული ფორმების აღმოჩენის მიზნით

C ჰეპატიტის გენოტიპის მოლეკულური მახასიათებლების შესწავლის მიზნით ინფექციური პათოლოგიის შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის ლაბორატორიულ საცავში შენახული შრატებიდან შეირჩა 224 პაციენტი, რომელთაც ჩაუტარდათ დამატებითი მაღალტექნოლოგიური კვლევები C ჰეპატიტის გენოტიპის რეკომბინანტული ფორმების აღმოჩენის მიზნით. ნიმუშების შერჩევა მოხდა რანდომიზირებულად, შერჩეულ ნიმუშებში გენოტიპების პროპორციების დაცვის გათვალისწინებით.

მოლეკულური მახასიათებლების შესწავლის მიზნით C ჰეპატიტის სისხლის ნიმუშების შერჩევის კრიტერიუმები იყო მკურნალობის ისტორიაში შემდეგი ჩანაწერები:

- 1) სისხლში HCV რნმ-ის რაოდენობა > 2000 იუ/მლ;
- 2) სისხლში HCV გენოტიპების შესახებ ინფორმაცია;
- 3) დამატებითი კვლევებისათვის საკმარისი ნიმუშების არსებობა.

4.2 ლაბორატორიული მეთოდები


4.2.1 HCV რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრა

სისხლში HCV რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრა ხდებოდა მაღალმგრძობიარე (რეალური დროის) პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის მეთოდის - COBAS® TaqMan® HCV Test, v.2 (Roche, შვეიცარია) გამოყენებით. ამ მეთოდით HCV რნმ-ის რაოდენობის დათვლის ქვედა ზღვარია 25 IU/ მლ, ხოლო დეტექციის ქვედა ზღვარი 8 IU/ მლ.

მწვავე C ჰეპატიტით ავადმყოფებში სისხლში HCV რნმ-ის განსაზღვრა ხდებოდა ავადმყოფის პირველი ვიზიტისას და სავარაუდო HCV ინფიცირებიდან 12-14 კვირის და 24 კვირის შემდეგ (სურათი № 2).

ქრონიკული C ჰეპატიტით ავადმყოფებში ულტრა სწრაფი ვირუსული პასუხის (URVR) დასადგენად სისხლში HCV რნმ-ი რაოდენობრივად განვსაზღვრეთ ინტერფერონით მკურნალობის დაწყებამდე, ინტერფერონის პირველი ინექციიდან 24, 48, 72 საათში, პირველ და მეორე კვირაზე. სწრაფი, ადრეული და მკურნალობის ბოლოს ვირუსული პასუხის დასადგენად სისხლში HCV რნმ-ინ განვსაზღვრეთ მკურნალობის დაწყებიდან მე-4, მე-12, 24 -ე და პირველი გენოტიპის შემთხვევაში 48 კვირაზე. მყარი ვირუსული პასუხის შესაფასებლად სისხლში HCV რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრა ხდებოდა მკურნალობის დამთავრებიდან 24 კვირის შემდეგ (სურათი №2).

სურათი №2. მწვავე და ქრონიკული მიმდინარეობის C ჰეპატიტის კვლევის სქემატური გამოსახულება




4.2.2 ინტერლეიკინ 28 B გენოტიპირება

ინტერლეიკინ 28 B გენოტიპირებისათვის გამოვიყენეთ სისხლის ნიმუშიდან გამოყოფილი 5ul გენომური დნმ-ს. rs12979860 უბანში ერთეული ნუკლეოტიდების პოლიმორფიზმის დასადგენად გამოვიყენეთ ალელსპეციფიური Taqman Minor Groove Binding პრობები, კერძოდ 0.125ul VIC-TGGTTCGCGCCTT- C ალელისათვის, ხოლო FAM-CTGGTTCACGCCTTC -T ალელისათვის, ასევე სპეციფიურ პრაიმერებად

გამოვიყენეთ 0.75ul ორი პრაიმერი ნუკლეოტიდების შემდეგი თანმიმდევრობებით 5'-GCCTGTCGTGTACTIONGAACCA-3' და 5'- GCGCGGAGTGCAATTCAAC-3', და 12.5ul Taqman გენოტიპირების მასტერმიქსი და 5.75ul ულტრა სუფთა, რნა-აზა თავისუფალი წყალი. 25ul სარეაქციო არე გენეტიკურ მასალასთან ერთად მოვათავსეთ აპარატში შემდეგი ტემპერატურული პირობებით: 50.0 გრადუსი 2 წუთი, 95.0 გრადუსი 10 წუთი, შემდეგ კი 40 ციკლი: 95.0 გრადუსი 15 წამი და 65.0 გრადუსი ერთი წუთი. ამპლიფიკაციის სიგნალის წაკითხვა მოხდა ბოლო ციკლის დროს 65.0 გრადუსზე. ამპლიფიკაციის შედეგები დავამუშავეთ აპარატ ABI 7500 Real Time PCR System-ის სპეციალური პროგრამის საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს ალელების დისკრიმინაციას რეალურ დროში (სურათი №3).

სურათი № 3. ინტერლეიკინ 28 B გენოტიპირება ალელების დისკრიმინაციის მეთოდით




ამ ინტერპრეტაციის სქემის მიხედვით, ნიმუშები, რომლებსაც აქვთ ჰომოზიგოტური C/C გენოტიპი, განთავსებულია X ღერძის გასწვრივ, ჰომოზიგოტური T/T გენოტიპების მქონე ნიმუშები Y ღერძზე, ხოლო ჰეტეროზიგოტული C/T გენოტიპიანი ნიმუშები განთავსებულია დიაგონალზე (სურათი № 3).

4.2.3 HCV გენოტიპირება სტრუქტურული გენის ამპლიფიკაციის მეთოდით

HCV გენოტიპის დასადგენად გამოვიყენეთ C ჰეპატიტის სტრუქტურული გენების ფრაგმენტები Versant HCV Genotype v2.0 LiPA (Innogenetics, ბელგია) კომპლექტის გამოყენებით. ამ კომპლექტის შემადგენლობაში გამოყენებული პრაიმერები გენოტიპების დასადგებად იყენებს სტრუქტურული გენის რეგიონებს, კერძოდ, 240 ნუკლეოტიდის ზომის 5' არატრანსლირებად უბანს (5'UTR) და 270 ნუკლეოტიდის ზომის ბირთვის (Core) უბანს. ამ უბნების ამპლიფიკაციის შემდეგ მიღებული ამპლიკონები იმობილიზდება სპეციალურ ნიტროცელოლოზას სტრიპებზე, რაც გვამლევს თითოეული გენოტიპისათვის უნიკალურ შესახედაობას სტრიპის სიგრძეზე. გენოტიპების ინტერპრეტაცია ხდება მწარმოებლის ფორმულებზე დაყრდნობით (სურათი № 4).

სურათი № 3. C ჰეპატიტის არასტრუქტურული გენების შესწავლა რევერს ჰიბრიდიზაციის მეთოდით

Versant® HCV Genotype 2.0 Assay (INNO-LiPA)



4.2.4 HCV გენოტიპირება სექვენირების მეთოდით

4.2.4.1 HCV არასტრუქტურული გენის(NS5B) სექვენირება

HCV რნმ-ის საკვლევი ნიმუშებიდან გამოყოფისათვის გამოვიყენეთ 0.5 მლ სისხლის პლაზმა, რომელიც დამუშავდა დნმ -ის და რნმ -ის გამოსაყოფი კომპლექტის High Pure

Viral Nucleic Acid Kit (Roche, ბაზელი, შვეიცარია) საშუალებით. გამოყოფილი რნმ-ისგან კომპლიმენტარული დნმ-ის (cDNA) სინთეზისათვის გამოვიყენეთ 100U MuLV ტრანსკრიპტაზასა და 0.1 U რამდომული ჰექსამერები (Qiagen, Valencia, CA). კომპლემენტარული დნმ-ის შექმნა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: 1) რნმ-ის რეაქციამდელი დამუშავება 2ul რანდომიზირებული ჰექსამერის და 12ul რნმ-ის 5 წუთის განმავლობაში 85°C-ზე და 2) შემდეგი მასტერმიქსის (4 ul -10X PCR Buffer II, 8 ul - 25 mM MgCl₂, 12 ul - 10 mM dNTP, 2 ul- Rnase Inhibitor და 2 ul -MuIV RT) და წინასწარ დამუშავებული რნმ-ის ამპლიფიკაცია 42°C 60 წუთის განმავლობაში, 85 °C 5 წუთის განმავლობაში სულ 25 ციკლი. რეაქცია ჩატარდა თერმოციკლერ GeneAmp PCR system 9700-ში (Applied Biosystems, ფოსტერ სითი, კალიფორნია, აშშ). მიღებული cDNA ამპლიფიკაციისათვის გამოვიყენეთ კომპლექტი GeneAmp XL PCR kit (Applied Biosystems, ფოსტერ სითი, კალიფორნია, აშშ). პირველადი პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციისათვის (პჯრ) გამოვიყენეთ 5 µL cDNA და სპეციფიური პრაიმერები P3 5'-TATGAYACCCGCTGYTTTGACTC-3' and P4 5'-GCNGARTAYCTVGTTCATAGCCTC-3'. მეორადი პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციისათვის კი P4 პრაიმერი ჩავანაცვლეთ P5 5'-GCTAGTCATAGCCTCCG-3'- ით. ამ ტიპის აპლიფიკაციის შედეგად მივიღეთ 260 ნუკლეოტიდისგან შემდგარი არასტრუქტურული გენის ფრაგმენტი, რომელიც შემდეგ საფეხურზე გავანალიზეთ 1% აგაროზას გელზე. მიღებული პროდუქტი მინარევებისაგან და პჯრ-ს ნარჩენებისგან გავასუფთავეთ QIAquick gel extraction kit (Qiagen, ვალენსია, კალიფორნია, აშშ) საშუალებით. არასტრუქტურული გენის უფრო დიდი ზომის ფრაგმენტის (395 ნუკლეოტიდი) მისაღებად გამოვიყენეთ პრაიმერები hep-101 5'-TATGATACCCGCTGCTTTGACTC-3' და hep-1205'-TGCGCGACBGABACRTTKGAGGA-3'. მეორადი პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციისათვის კი hep-120 პრაიმერი ჩავანაცვლეთ hep-105 5'-ATACCTAGTCATAGCCTCCGTGA-3'. მიღებული და გასუფთავებული ნუკლეოტიდების თანამიმდევრობა გავშიფრეთ Big Dye Terminator v3.1 Cycle Sequencing კომპლექტისა და 3500xL DNA Analyzer(Applied Biosystems, ფოსტერ სითი, კალიფორნია, აშშ) ანალიზატორის საშუალებით.

4.2.4.2 HCV სტრუქტურული (5'UTR) და ბირთვის გენის (Core) სექვენირება

პირველადი პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციისათვის ასევე გამოვიყენეთ 5 µL კომპლემენტარული დნმ-ი შემდეგ პრაიმერებთან ერთად 186 5'-ATGTACCCCATGAGGTTCGGC-3' და NCR3 5'-CCACCATAGATCTCTCCCCTG-3' ხოლო მეორადი პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციისათვის NCR3 ჩავანაცვლეთ Univ-1 5'-CCCTGTGAGGAAGTCTGTCTTCACGC-3'. 5 µL კომპლემენტარული დნმ-ი დავამატეთ შემდეგ რეაქტივებს 200 µM dNTP, 1 U Taq Polymerase, Taq Buffer, 2,5mM MgCl₂, (Roche, ბაზელი, შვეიცარია) და 200 nM პრაიმერები. 50ul სარეაქციო არე გენეტიკურ მასალასთან ერთად მოვათავსეთ თერმოციკლერ GeneAmp PCR system 9700-ში (Applied Biosystems, ფოსტერ სიტი, კალიფორნია, აშშ). შემდეგი ტემპერატურული რეჟიმებით 94.0 გრადუსი 3 წუთი, შემდეგ კი 40 ციკლი 94.0 გრადუსი 35 წამი და 62.0 ერთი წუთი და 72°C ერთი წუთი, საბოლოო ტემპერატურა კი 72°C 7 წუთი. ამპლიფიკაციის შედეგად მიღებული პროდუქტი ამ შემთხვევაშიც გავანალიზეთ 1% აგაროზას გელზე და გავასუფთავეთ QIAquick gel extraction kit (Qiagen, ვალენსია, კალიფორნია, აშშ) საშუალებით და გასუფთავებული ნუკლეოტიდების თანამიმდევრობა გავშიფრეთ Big Dye Terminator v3.1 Cycle Sequencing კომპლექტისა და 3500xL DNA Analyzer (Applied Biosystems, ფოსტერ სიტი, კალიფორნია, აშშ) ანალიზატორის საშუალებით.

4.2.4.2.1 HCV ვირუსის ნუკლეოტიდების თანამიმდევრობების შესწავლა

ბიოინფორმატიული პროგრამებით

მრავალსაფეხურიანი პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციებისა და ნუკლეოტიდების თანამიმდევრობების გაშიფრვის შედეგად მიღებული გენეტიკური მასალა დავამუშავეთ BLAST პროგრამის საშუალებით, რომელიც ხელმისაწვდომია Los Alamos HCV sequence მონაცემთა ბაზის ვებგვერდზე.

http://hcv.lanl.gov/content/sequence/BASIC_BLAST/basic_blast.html

თითოეული HCV გენოტიპების დამატებითი კლასიფიკაციის მიზნით BLAST პროგრამაში შევარჩიეთ ისეთი საკონტროლო ნიმუშები, რომელთანაც ჩვენი კვლევის

ნიმუშების მსგავსება 90%-ზე მეტი იყო. C ჰეპატიტის გენეტიკური თანმიმდევრობების დამატებითი დამუშავების მიზნით გამოყენებულ იქნა შემდეგი ვებგვერდები:

http://hcv.lanl.gov/content/sequence/BASIC_BLAST/basic_blast.html

<http://www.bioafrica.net/virus-genotype/html/indexhcv.html>

<http://s2as02.genes.nig.ac.jp/db/index.php#hcv>

<http://www.hcvdb.org/blast.asp?bhcp=1>

4.2.4.2.2 HCV ვირუსის ნუკლეოტიდების თანმიმდევრობების შესწავლა

ბიონფორმატიული პროგრამებით ფილოგენეტიკური ანალიზით საკვლევი ნუკლეოტიდების თანმიმდევრობების შესწავლის მიზნით ჩავატარეთ ფილოგენეტიკური ანალიზი. HCV პირველი, მეორე და მესამე გენოტიპების ფილოგენეტიკური ანალიზისათვის შევარჩიეთ გენოტიპების საკონტროლო თანმიმდევრობები სხვადასხვა სამეცნიერო წყაროდან, რომელიც ხელმისაწვდომია მსოფლიო გენეტიკური ბანკის (GenBank) ვებგვერდზე <http://www.ncbi.nlm.nih.gov/pubmed> ჩვენი კვლევის ნიმუშები და საკონტროლო ნიმუშები ერთდროულად განვათავსეთ პროგრამა BioEdit-ში და ჩავატარეთ ანალიზი CLUSTAL W. მიღებული შედეგები დავამუშავეთ MEGA version 6.0. პროგრამაში neighbor-joining მეთოდისა და Kimura-ს ორ პარამეტრიანი მოდელის საშუალებით. მაღალი სარწმუნოების მისაღწევად შევარჩიეთ 1,000 bootstrap პარამეტრი და მიღებულ ფილოგენეტიკურ გამოსახულებაზე გამოვაჩინეთ მხოლოდ bootstrap პარამეტრის 70% -ზე მეტი მაჩვენებელი.

4.3 ინსტრუმენტული დიაგნოსტიკა

გამოსაკვლევი პირების ღვიძლის ფიბროზის ხარისხის განისაზღვრა ღვიძლის ელასტოგრაფიის მეთოდით აპარატ ფიბროსკანის (Echosens, საფრანგეთი) გამოყენებით. ღვიძლის სიხისტის მაჩვენებლები, გამოხატული კილოპასკალებში, მივუსადაგეთ ღვიძლის ფიბროზის ხარისხთან (სტადიასთან) Metavir-ის კლასიფიკაციით.

4.4 სტატისტიკური ანალიზი

მასალის სტატისტიკური დამუშავებისთვის გამოვიყენეთ უნივარიაციული ანალიზი. ჯგუფების შესადარებლად ვისარგებლეთ ე.წ. Pearson's chi-square და Fisher's ტესტები. მიღებული მაჩვენებლების მგრძნობელობა, სპეციფიურობა, დადებითი (PPV) და უარყოფითი პროგნოზული (NPV) მნიშვნელობები დავადგინეთ 95% იანი სარწმუნოების ინტერვალით. კვლევაში გამოყენებული იყო სტატისტიკური პროგრამა SAS 9.2 (SAS Institute Inc, Cary, NC, USA). P value<0.05 სტატისტიკურად სარწმუნოდ მივიჩნიეთ.

5. კვლევის შედეგები

მასპინძლის გენეტიკური ფაქტორის, ინტერლეიკინ 28 B გენოტიპის პროგნოზული ღირებულების შესწავლა მწვავე C ჰეპატიტისგან თვითგანკურნებში


კვლევაში რეტროსპექტულად შერჩეული 124 პაციენტებიდან, რომლებიც მწვავე C ჰეპატიტისგან სპონტანურად გამოჯანმრთელებდნენ, 65 ავადმყოფს ჰქონდა HCV მონონფექცია, ხოლო 59 ავადმყოფს - C ჰეპატიტი განუვითარდა აივ/შიდსის ფონზე (კოინფექცია). მწვავე HCV ინფექციისგან სპონტანურად გამოჯანმრთელებული პირების დემოგრაფიული მონაცემები ასახულია ცხრილში № 1.

ცხრილი № 1 . მწვავე C ჰეპატიტის კვლევაში ჩართული პაციენტების მახასიათებლები

მწვავე ჰეპატიტი პაციენტების მახასიათებლები	გამოჯანმრთელებული პაციენტები (n=124)	მონო ინფექცია (n=65)	ავი კო - ინფექცია (n=59)	p value
ასაკი, მედიანა (კვარტილთა შორისი ინტერვალი)	40 (32-46)	41 (35-46)	39 (29-46)	0.03
სქესი				
მამრობითი, n (%)	98 (79,0 %)	55 (56,1%)	43 (43,8%)	0.11
მდედრობითი, n (%)	26 (20,9%)	10 (38,4%)	16 (61,5%)	
ინტერლეიკინ 28 გ გენოტიპები				
IL28B C/C n (%)	73 (58.8 %)	39 (60,0%)	34 (57,6%)	0.91
IL28B C/T, n (%)	34 (27,4 %)	17 (26,2%)	17 (30,5%)	
IL28B T/T, n (%)	16(12,9 %)	9(13,8%)	7(11,9%)	
HCV გენოტიპი				
1, n (%)	45 (36,3 %)	33 (73,3%)	12 (26,6%)	<0.0001
2/3, n (%)	79 (63,7 %)	32 (40,5%)	47 (59,5 %)	

მწვავე HCV ინფექციისგან სპონტანურად გამოჯანმრთელებულ პირებში ინტერლეიკინ 28B გენოტიპების განაწილება ასახულია გრაფიკ №1-ში.

გრაფიკი № 1. მწვავე HCV ინფექციისგან სპონტანურად გამოჯანმრთელებულ პირებში ინტერლეიკინ 28B გენოტიპების გადანაწილება



როგორც გრაფიკი № 1-დან ჩანს, 65 HCV მონონეფექციისგან თვითგამოჯანმრთელებული ავადმყოფიდან ინტერლეიკინ 28B C/C გენოტიპი ჰქონდა 39 პაციენტს (60.0%), C/T გენოტიპი - 17 პაციენტს (26.2%) და T/T გენოტიპი - 9 პაციენტს (13.8%). კოინფიცირებული 59 HCV/HIV ავადმყოფისგან ინტერლეიკინ 28B C/C გენოტიპი ჰქონდა 34 პაციენტს (57.6%), C/T გენოტიპი - 18 პაციენტს (30.5%) და T/T გენოტიპი - 7 პაციენტს (11.9%). 124 პაციენტებიდან, რომლებიც სპონტანურად გამოჯანმრთელდნენ, 34 (27,4%) უსიმპტომოდ მიმდინარეობდა. მათგან T/T გენოტიპი გამოვლინდა 25 პაციენტში, რაც თავისთავად განკურნების წინაპირობად შეიძლება ჩაითვალოს.

სტატისტიკური სარწმუნოების მაჩვენებელი ($p < 0.05$) მიხედვით ინტერლეიკინ 28B C/C გენოტიპი მწვავე HCV ინფექციისგან სპონტანური გამოჯანმრთელების მნიშვნელოვანი პროგნოზული მარკერია, როგორც HCV მონონეფექციით, ისე HIV/HCV კოინფექციით ავადმყოფებში, დამოუკიდებლად იმისა, მწვავე C ჰეპატიტი სიმპტომებით მიმდინარეობს თუ უსიმპტომოდ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მწვავე C ჰეპატიტის დროს ინტერლეიკინ 28B გენოტიპირების განსაზღვრა მნიშვნელოვნად დაგვეხმარება ანტივირუსული

მკურნალობის ჩატარების, დროებით გადადების ან არჩატარების გადაწყვეტილების მიღებაში როგორც უსიმპტომო, ასევე სიმპტომურ პაციენტებში.

HCV რნმ-ის ადრეული შემცირების (ულტრასწრაფი ვირუსული პასუხის) და ინტერლეიკინ 28 B გენოტიპის კომბინაციის პროგნოზული ღირებულების დადგენა ანტივირუსულ მკურნალობაზე მყოფ პაციენტებში განკურნების პროგნოზირების მიზნით

კვლევაში ჩართული ქრონიკული C ჰეპატიტით 156 პაციენტიდან, ინტერფერონის გვერდითი ეფექტების გამო კვლევას გამოეთიშა 13 (8.3%) პაციენტი. შესაბამისად, ისინი საბოლოო ანალიზში მოხსენიებულნი არ არიან. დარჩენილი 143 პაციენტიდან 40 პაციენტს (27.9%) შევუწყვიტეთ მკურნალობა მე-12 კვირაზე მკურნალობის არასაკმარისი ეფექტურობის (HCV რნმ-ის რაოდენობის შემცირება $< 2 \log$ -ით) გამო.

კვლევაში ჩართული პაციენტებიდან 118 (82.5%) იყო მამაკაცი და 25 (17.5%) ქალი. პაციენტების ასაკი იყო 23 წელი და მეტი (საშუალო ასაკი - 38 წელი). ყველა პაციენტი მიეკუთვნებოდა ევროპული წარმოშობის თეთრ რასას. კვლევაში ჩართული პაციენტებიდან 83 (58.0%) წარსულში ნარკოტიკების მოხმარებელი იყო, ხოლო 84 პაციენტს (58.7%) აღენიშნებოდა C ჰეპატიტის მაღალი ვირუსული დატვირთვა ($>600\ 000$ IU/ml) (ცხრილი №2).

ინტერლეიკინ 28 B გენოტიპების მიხედვით პაციენტები დაყავით ორ ჯგუფად. კერძოდ, 67 პაციენტს (46.8%) ჰქონდა C/C გენოტიპი, ხოლო 76 პაციენტს (53.1%) - C/T და T/T. C/C გენოტიპის მქონე პაციენტების უმეტესობას ჰქონდათ უფრო მაღალი ვირუსული დატვირთვა C/T და T/T გენოტიპების მქონე პაციენტებთან შედარებით. ვირუსის გენოტიპის მიხედვით, პაციენტები შემდეგნაირად გადავანაწილეთ: 50 პაციენტს (34.9%) ჰქონდა HCV პირველი გენოტიპი, ხოლო 93 (65.0%) პაციენტს - HCV მეორე ან მესამე გენოტიპები. HCV მეორე და მესამე გენოტიპები გავაერთიანეთ ერთ ჯგუფში, რადგან ინტერფერონისა და რიბავირინით მკურნალობის ეფექტურობის მაჩვენებლები მსგავსი აქვთ ამ ორი გენოტიპებით ინფიცირებულ პაციენტებს.

HCV პირველი გენოტიპის მქონე 50 ავადმყოფებიდან მყარი ვირუსული პასუხი მიღწეულ იქნა 23 ავადმყოფში (46.0%), ხოლო HCV მეორე და მესამე გენოტიპებით 93 ავადმყოფიდან - 67 (72.0%)-ში.

ცხრილი № 2. ქრონიკული C ჰეპატიტის კვლევაში ჩართული პაციენტების მახასიათებლები

ქრონიკული ჰეპატიტი პაციენტების მახასიათებლები	პაციენტები (n=143)	IL28B C/C (n=67)	IL28B C/T, T/T (n=76)	p value
ასაკი, მედიანა (კვარტილთა შორის ინტერვალი)	40 (32-46)	41 (35-46)	39 (29-46)	0.2
სხეულის მასის ინდექსი, მედიანა (კვარტილთა შორის ინტერვალი)	27 (26-28)	28 (27-28)	26 (24-28)	<0.01
სქესი				
მამრობითი, n (%)	118 (82.5 %)	55 (46.6%)	63 (53.3%)	0.89
მდედრობითი, n (%)	25 (17.5%)	12 (48.0%)	13 (52.0%)	
საწყისი HCVრნმ-ი სისხლში				
>600 000 IU/ml, n (%)	84 (58.7 %)	47 (55.9%)	37 (44.1%)	<0.01
<600 000 IU/ml, n (%)	59 (41.3%)	20 (33.9%)	39 (66.1%)	
HCV გენოტიპი				
1, n (%)	50 (34.9 %)	22 (44.0%)	28 (56.0%)	0.62
2/3, n (%)	93 (65.1 %)	45 (48.3%)	48 (51.7%)	

HCV რნმ-ის რაოდენობის შემცირების კორელაცია HCV-ის და ინტერლეიკინ 28 B გენოტიპებთან

HCV რნმ-ის რაოდენობა შემცირების დინამიკა (ულტრასწრაფი ვირუსული პასუხი პირველ და მეორე კვირაზე, სწრაფი ვირუსული პასუხი, ადრეული ვირუსული პასუხი და მკურნალობის ბოლოს პასუხი) ასახულია ცხრილში №3.

ცხრილი № 3. HCV რნმ-ის რაოდენობის შემცირების დინამიკა მკურნალობის პროცესში

მკურნალობის პერიოდის ინტერვალები	C/C გენოტიპი (67)	C/T და T/T გენოტიპი (76)	p value
HCV 1 გენოტიპი (n=50)	n=22	n=28	
URVR (პირველი კვირა)	10 (45.4%)	2 (7.1%)	0.002
URVR (მეორე კვირა)	10 (45.4%)	2 (7.1%)	0.001
RVR	11 (50.0%)	4 (14.2%)	0.01
EVR	19 (86.3%)	10 (35.7%)	<0.0001
ETR	18 (81.8%)	9 (32.1%)	0.001
SVR	17 (77.2%)	6 (21.4%)	<0.0001
HCV მე-2, მე-3 გენოტიპები (n=93)	n=45	n=48	
URVR (პირველი კვირა)	25 (55.5%)	18 (37.5%)	0.08
URVR (მეორე კვირა)	27 (60.0%)	20 (41.6%)	0.08
RVR	31 (68.8%)	26 (54.1%)	0.15
EVR	39 (86.6%)	35 (72.95%)	0.1
ETR	38 (84.4%)	34 (70.8%)	0.12
SVR	36 (80.0%)	31 (64.5%)	0.09

HCV რნმ-ის რაოდენობა შემცირების დინამიკა პირველი ფაზის დროს (პირველი ინექციიდან 24-48-72 საათი), ცხრილში ასახული არ არის, რადგან ჩვენს კვლევაში მისი

კლინიკური ღირებულება განკურნების პროგნოზირების თვალსაზრისით არ გამოვლინდა.

ინტერლეიკინ 28 B C/C და C/T - T/T გენოტიპის მქონე HCV პირველი გენოტიპით ინფიცირებული პაციენტების ერთმანეთთან შედარებით ირკვევა, რომ C/C გენოტიპის მქონე პაციენტებს მეორე ფაზის (მკურნალობის 1-48 კვირა) ყველა პერიოდის განმავლობაში აღინიშნებოდათ HCV რნმ-ის რაოდენობა შემცირების სწრაფი კინეტიკა C/T - T/T გენოტიპის მქონე პაციენტებთან შედარებით ($p < 0.05$), შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ ქრონიკული C ჰეპატიტისგან განკურნებისათვის ინტერლეიკინ 28 B გენოტიპის T ალელის უარყოფითი როლის შესახებ.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 17 HCV პირველი გენოტიპით ინფიცირებული C/C გენოტიპის მქონე განკურნებული პაციენტიდან 8 -ში მიღებული იყო ულტრასწრაფი ვირუსული პასუხი პირველივე კვირას, ხოლო 10 პაციენტში - მეორე კვირას (**ცხრილი №3**). შესაბამისად, ამ 10 პაციენტიდან არც ერთთან არ გამოვლინდა ვირუსის რეციდივი მკურნალობის პროცესში და კურსის დამთავრების შემდეგ.

HCV პირველი გენოტიპით ინფიცირებულ C/C გენოტიპის მქონე პაციენტებისგან განსხვავებით, C/T - T/T გენოტიპის მქონე პაციენტებში, ულტრასწრაფი ვირუსული პასუხის მიღწევა ყოველთვის არ იყო განკურნების გარანტია.

HCV მეორე და მესამე გენოტიპებით ინფიცირებული პაციენტების შემთხვევაში განსხვავებული სურათია. კერძოდ, აქაც C/C გენოტიპის მქონე პაციენტებში აღინიშნებოდა HCV რნმ-ის რაოდენობის შედარებით უფრო გამოხატული კლება მკურნელობის საწყის ეტაპზე, ვიდრე C/T - T/T გენოტიპის მქონე პაციენტებში, თუმცა ეს განსხვავება არ იყო სტატისტიკურად სარწმუნო (ზღვრული მაჩვენებლები). პირველი ფაზის მსგავსად, C/C გენოტიპი მკურნალობის მეორე ფაზისთვისაც ამ ავადმყოფებში განკურნების პროგნოზულ მარკერად ნაკლებად გამოდგება, რადგან სტატისტიკური მაჩვენებლები შედეგების არასარწმუნოებაზე მიუთითებენ. HCV მეორე და მესამე გენოტიპით პაციენტებში ვირუსის რაოდენობის კლება რჩება მყარი ვირუსული დატვირთვის ძირითად პრედიქტორიად მიუხედავად იმისა თუ რომელი ინტერლეიკინის 28 B გენოტიპები ქონდა პაციენტს.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ არ იქნა მიღწეული ულტრასწრაფი და სწრაფი ვირუსული პასუხი (URVR და RVR), HCV პირველი გენოტიპით ინფიცირებულ C/C გენოტიპის მქონე პაციენტებში, განკურნების შანსი გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე C/T და T/T გენოტიპის მქონე პაციენტებში ($P < 0.05$), რომლებშიც არ იქნა მიღწეული ულტრასწრაფი ვირუსული პასუხი და სწრაფი ვირუსული პასუხი (URVR და RVR). განსხვავებული სურათია C/C გენოტიპის პროგნოზული ღირებულების მხრივ HCV მეორე და მესამე გენოტიპით ინფიცირებულ პაციენტებში, სადაც ვერ იქნა მიღწეული ულტრასწრაფი და სწრაფი ვირუსული პასუხი ($P > 0.05$). როგორც ჩანს, HCV მეორე და მესამე გენოტიპებით პაციენტებისათვის სწრაფი ვირუსული პასუხი მეოთხე კვირაზე (RVR) რჩება განკურნების იდეალური პროგნოზულ მარკერად.

ინტერლეიკინ 28 B გენოტიპის პროგნოზული მნიშვნელობა

HCV პირველი გენოტიპით ინფიცირებული პაციენტებიდან განკურნების მაღალი შანსით (77.2%) გამოირჩევიან ის პაციენტები, რომლებსაც ჰქონდათ ინტერლეიკინ 28 C/C გენოტიპი, C/T და T/T გენოტიპის მქონე პაციენტებთან შედარებით (22.4 %) ($P < 0.05$) (ცხრილი № 3). ხოლო, HCV მეორე და მესამე გენოტიპით ინფიცირებულ პაციენტებში განკურნების პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირად გადანაწილდა: ინტერლეიკინ 28 C/C გენოტიპის მქონე პაციენტებში -80%, ხოლო, არა C/C გენოტიპის მქონე პაციენტებში - 64.5%, თუმცა ამ პაციენტებში განსხვავება სტატისტიკურად არასარწმუნოა ($P = 0.09$) (ცხრილი № 3)

თავის მხრივ HCV მეორე და მესამე გენოტიპების ერთმანეთთან შედარების შედეგად ირკვევა, რომ მეორე გენოტიპებში განკურნების მაჩვენებელი რამდენადმე დაბალია (60.6%) მესამე გენოტიპთან შედარებით (78.3%) ($p = 0.07$), თუმცა C/C გენოტიპი შედარებით უკეთესი პრედიქტორია HCV მესამე გენოტიპით პაციენტებისათვის (86.6%), ვიდრე მეორე გენოტიპებისათვის (66.7%) ($p = 0.14$), თუმცა სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება ვერ მივიღეთ გამოკვლეულ პაციენტთა ლიმიტირებული რაოდენობის გამო (ცხრილი № 4).

ცხრილი № 4. მკურნალობის დროს ინტერლეიკინის 28 B გენოტიპების შედარება HCV მეორე და მესამე გენოტიპით პაციენტებში

ანტივირუსული მკურნალობა	პაციენტები (n=93)	გენოტიპი 2 (n=33)	გენოტიპი 3 (n=60)	<i>P</i> value
მყარი ვირუსული პასუხი SVR (%)	67 (72.0%)	20 (60.6%)	47 (78.3%)	0.07
C/C გენოტიპი	45 (48.4%)	15 (45.4%)	30 (50.0%)	0.68
SVR(%)	36 (80.0%)	10 (66.7 %)	26 (86.6%)	0.14
C/T - T/T გენოტიპი	48 (51.6%)	18(54.5%)	30 (50.0 %)	0.68
SVR(%)	31 (64.5%)	10 (55.5%)	21 (70.0%)	0.31

ცხრილი № 5. ინტერლეიკინ 28 B გენოტიპის და ულტრასწრაფი და სწრაფი ვირუსული პასუხის კომბინაციის დადებითი და უარყოფითი პროგნოზული ღირებულება


HCV რნმ-ის რაოდენობის კლების პერიოდები	HCV 1 გენოტიპი IL28 გენოტიპი CC				HCV 1 გენოტიპი IL28 გენოტიპი CT, TT			
	მგრძობე- ლობა	სპეციფიუ- რობა	PPV	NPV	მგრძობე- ლობა	სპეციფიუ- რობა	PPV	NPV
	(95% CI)	(95% CI)	(95% CI)	(95% CI)	(95% CI)	(95% CI)	(95% CI)	(95% CI)
ულტრა სწრაფი ვირუსული პასუხი (1 კვირა)	47 (24-71)	60 (17-93)	80 (44-96)	25 (7-57)	17 (1-63)	95 (75-100)	50 (3-97)	81 (60-93)
ულტრა სწრაფი ვირუსული პასუხი (2 კვირა)	59 (33-81)	100 (46-100)	100 (66-100)	43 (16-71)	17 (1-63)	95 (75-100)	50 (3-97)	81 (60-93)
სწრაფი ვირუსული პასუხი (4 კვირა)	65 (39-85)	100 (46-100)	100 (68-100)	45 (18-75)	50 (14-86)	95 (75-100)	75 (22-99)	87 (67-97)

ინტერლეიკინ 28 B გენოტიპის და ულტრასწრაფი და სწრაფი ვირუსული პასუხის დადებითი და უარყოფითი პროგნოზული ღირებულების შესასწავლად კომბინაციაში იქნა განხილული ამ ორი მაჩვენებლის როლი. როგორც **ცხრილი №5**-დან ჩანს, ულტრასწრაფი (მეორე კვირაზე) ან სწრაფი ვირუსული პასუხის კომბინაცია ინტერლეიკინ 28 B C/C გენოტიპთან ასოცირებულია განკურნების პრაქტიკულად 100 %-იან ალბათობასთან (PPV 100%), ხოლო ულტრასწრაფი და სწრაფი ვირუსული პასუხის არ მიღების შემთხვევაში იგივე ინტერლეიკინ 28 B C/C გენოტიპის მქონე პაციენტებში უარყოფითი პროგნოზული მაჩვენებელი 43%-45%-ს აღწევს.

განსხვავებული სურათია C/T- T/T გენოტიპიან პაციენტებში, კერძოდ, მეორე კვირაზე ულტრასწრაფი ვირუსული პასუხის დადებითი პროგნოზული მაჩვენებელი მხოლოდ 50% (PPV 50%) ხოლო, სწრაფი ვირუსული პასუხის - 75% -ია (PPV 75%). ულტრასწრაფი და სწრაფი ვირუსული პასუხის არმიღების შემთხვევაში უარყოფითი პროგნოზული მაჩვენებელი C/T- T/T გენოტიპიან პაციენტებში - 81 და 87% -ია (**გრაფიკი № 2**).

ულტრასწრაფი ვირუსული პასუხის (პირველი და მეორე კვირა), სწრაფი ვირუსული პასუხის და ინტერლეიკინ 28 B C/C გენოტიპის ცალ-ცალკე აღებულის და მათი კომბინაციის (ულტრასწრაფი ან სწრაფი ვირუსული პასუხი + C/C გენოტიპი) პროგნოზული ღირებულების შედარება ასახულია **გრაფიკში №2-ი**.

გრაფიკი № 2. HCV პირველი გენოტიპით ავადმყოფებში ულტრასწრაფი ვირუსული პასუხის, სწრაფი ვირუსული პასუხის, C/C გენოტიპის და მათი კომბინაციის დადებითი პროგნოზული ღირებულებები



როგორც **გრაფიკიდან №2-დან** ჩანს, ინტერფერონით მკურნალობაზე მყოფი HCV პირველი გენოტიპით ავადმყოფებში ულტრასწრაფი ვირუსული პასუხის (მე-2 კვირაზე) და სწრაფი ვირუსული პასუხის პროგნოზული ღირებულება მაღალია (92% და 93%), რამდენადმე ნაკლებია ინტერლეიკინ 28B C/C გენოტიპის პროგნოზული ღირებულება (77.0%). ხოლო ამ ორი თავისთავად მნიშვნელოვანი პროგნოზული მარკერის კომბინაციაში განხილვის შემთხვევაში მათი დადებითი პროგნოზული ღირებულება 100%-ს აღწევს. რაც იმას ნიშნავს, რომ თუ HCV პირველი გენოტიპით ინფიცირებულ ქრონიკული C ჰეპატიტით ავადმყოფს აქვს ინტერლეიკინ 28B C/C გენოტიპი და მიღებულია ულტრასწრაფი (მითუმეტეს სწრაფი) ვირუსული პასუხი, ასეთი ავადმყოფის განკურნების ალბათობა პრაქტიკულად 100%-ია.

საქართველოში გავრცელებული HCV გენოტიპების როლის შესწავლა ანტივირუსული მკურნალობის გამოსავლის პროგნოზირებისათვის

ანტივირუსული მკურნალობის ეფექტურობაში C ჰეპატიტის გენოტიპების როლის დასადგენად რეტროსპექტიულად შევისწავლეთ ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის ბაზაზე არსებული 2,291 პაციენტების დემოგრაფიული მონაცემები, მკურნალობის რეჟიმები, ხანგრძლივობა და ეფექტურობა. 2003-2011 წლებში ცენტრში დიაგნოზირებული პაციენტებიდან პირველი გენოტიპმა შედაგინა 41.9%, მესამე გენოტიპმა 32.9% ხოლო მეორე გენოტიპმა 24.9%. მეოთხე გენოტიპი სულ იდენტიფიცირდა 3 პაციენტში (0.13 %), ხოლო დანარჩენი გენოტიპები არ იქნა აღმოჩენილი. ცენტრის ბაზაზე დაცული და გაანალიზებული პაციენტების მონაცემები იხილეთ **ცხრილში № 6**.

ჩვენს ცენტრში დაცული პაციენტების მონაცემებიდან ირკვევა, რომ C ჰეპატიტით პაციენტების დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ მამაკაცები (79.2%), ხოლო ინფექციის გადაცემის ძირითად გზას წარსულში ინტრავენური ნარკოტიკების მოხმარების ეპიზოდები (61.9%). HCV გენოტიპების გადანაწილება პროპორციულია მეორე და მესამე გენოტიპებში როგორც სქესის, ასევე გადაცემის სავარაუდო გზის მიხედვით, თუმცა მესამე გენოტიპებისათვის განსხვავებული სურათია, კერძოდ, 739 HCV მესამე გენოტიპებიდან 86.6% მამაკაცია და 70.5% აღნიშნავს წარსულში ინტრავენურად ნარკოტიკების მოხმარებას (**ცხრილში № 6**). ვირუსული დატვირთვის მხრივაც HCV მესამე გენოტიპი გამოირჩევა პირველი და მეორე გენოტიპებისაგან, სადაც პაციენტების 70.9% აღნიშნება მაღალი ვირუსული დატვირთვა (>600 000 იუ/მლ). შედარებით დაბალი ვირუსული დატვირთვა ახასიათებს HCV მეორე გენოტიპებს პირველი და მესამე გენოტიპებთან შედარებით.

ცხრილი № 6 . ცენტრის ბაზაზე არსებული HCV პაციენტების დემოგრაფიული მონაცემები, გენოტიპები და HCV რნმ-ის რაოდენობა

მახასიათებლები	პაციენტები (n=2291)	პირველი გენოტიპი (n=962)	მეორე გენოტიპი (n=590)	მესამე გენოტიპი (n=739)	<i>p value</i>
სქესი					
მამრობითი, n (%)	1816 (79.2%)	722 (75.1%)	454 (76.9%)	640 (86.6%)	<0.0001
მდედრობითი n (%)	475 (20.7%)	240 (24.9%)	136 (23.1%)	99 (13.4%)	
HCV გადაცემის სავარაოდო გზა					
ნარკოტიკების ინტრავენური მოხმარება	1420 (61.9%)	550 (57.1%)	349 (59.1%)	521 (70.5%)	<0.0001
სქესობრივი გადაცემა	252 (10.9%)	133 (12.5%)	74 (9.5%)	45 (6.0%)	
სისხლის გადასხმა/სამედიცინო მანიპულაციები	138 (6.0%)	47 (4.8%)	52(8.8)	39 (5.2%)	
გადაცემის გზა უცნობია	481 (20.9)	232 (24.1%)	115 (19.5%)	134 (18.1%)	
საწყისი HCV ვირუსული დატვირთვა					
>600 000 IU/ml, n (%)	1305 (57.0 %)	527 (54.7%)	254 (43.2%)	524 (70.9%)	<0.0001
<600 000 IU/ml, n (%)	986 (43.0%)	435 (45.2%)	336 (56.9%)	215 (29.1%)	

ცხრილი №7. ცენტრის ბაზაში არსებული პაციენტების ინტერფერონით ორმაგი თერაპია და განკურნების მაჩვენებლები (2003-2011 წ)

	პაციენტები (n=2291)	პირველი გენოტიპი (n=962)	მეორე გენოტიპი (n=590)	მესამე გენოტიპი (n=739)	<i>p value</i>
ინტერფერონით მკურნალობა					
ჩაიტარა	812 (35.4%)	211 (21.9%)	250 (42.3%)	351 (47.4%)	<0.0001
მყარი ვირუსული პასუხი (SVR%)	474 (58.3%)	79 (37.4%)	145 (58.0%)	250 (33.8%)	


ანტივირუსული მკურნალობის მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ პაციენტთა მხოლოდ 35%-ს აქვს ჩატარებული ანტივირუსული მკურნალობა (ცხრილი №7). ხოლო ნამკურნალები 812 პაციენტიდან განიკურნა 474 (58.3%). განსხვავებულია ნამკურნალები პაციენტების მაჩვენებლები HCV გენოტიპებს შორის, კერძოდ, HCV პირველი გენოტიპებით ინფიცირებული პაციენტების მხოლოდ 21.9%, HCV მეორე გენოტიპებიდან - 42.3%, ხოლო HCV მესამე გენოტიპებიდან 47.4% ჩაიტარა ანტივირუსული მკურნალობა. ანტივირუსული მკურნალობის ეფექტურობა გენოტიპებს შორის შემდეგნაირად გადანაწილდა: HCV პირველი გენოტიპის შემთხვევაში- 37.4%, მეორე გენოტიპის დროს-58.0%, ხოლო მესამე გენოტიპი-71.2%. HCV პირველ და მესამე გენოტიპებში ანტივირუსული მკურნალობის ეფექტურობა არ განსხვავდება მსოფლიო ლიტერატურაში აღწერილ მონაცემებისგან, ხოლო HCV მეორე გენოტიპის განკურნების მაჩვენებლები გაცილებით ნაკლებია (58.0%) ვიდრე აღწერილია სხვადასხვა ანალოგიურ კვლევებში მსოფლიო მასშტაბით.

გავრცელებული HCV გენოტიპების მოლეკულური მახასიათებლების შესწავლა, ქვეყანაში მოცირკულირე რეკომბინანტული ფორმების აღმოჩენის მიზნით

მოლეკულური მახასიათებლების შესწავლის მიზნით 2291 პაციენტიდან შევარჩიეთ პაციენტების 2 ჯგუფი HCV გენოტიპების სკრინინგული და კონფირმაციული კვლევებისათვის. ორივე კვლევისათვის შეირჩა მხოლოდ იმ პაციენტთა ნიმუშები, რომელზეც მონაცემთა ბაზაში არსებობდა ინფორმაცია გენოტიპების, ვირუსული დატვირთვის და მკურნალობის შესახებ. პირველი კვლევის მიზანი იყო, შეგვესწავლა C ჰეპატიტის ვირუსის სხვადასხვა უბნის, კერძოდ სტრუქტურული და არასტრუქტურული გენების ამპლიფიკაციის შედეგების მნიშვნელობა C ჰეპატიტის გენოტიპების უფრო ზუსტად დადგენის მიზნით. რადგანაც C ჰეპატიტის გენოტიპების მაღალი სიზუსტით დადგენა მნიშვნელოვანია როგორც მკურნალობის გამოსავლის პროგნოზირების, ასევე სწორი ანტივირუსული მკურნალობის რეჟიმის შერჩევისა და შესაბამისად, მკურნალობის ადექვატური გამოსავლის მიღების მიზნით.

HCV გენოტიპების დასადგენად იდეალური მიდგომა მისი გენომის როგორც სტრუქტურული, ასევე არასტრუქტურული გენების შესწავლაა, რადგანაც იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება ამ ორ უბნებს შორის სხვაობა გენოტიპების და სუბტიპების იდენტიფიცირების კუთხით (სურათი № 5).

სურათი № 5. HCV მოლეკულური კვლევის სქემატური გამოსახულება



კვლევისთვის შევარჩიეთ იმ პაციენტთა მასალა, რომელშიც გაკეთებული იყო C ჰეპატიტის გენოტიპების განსაზღვრა სტრუქტურული გენის ამპლიფიკაციაზე დაფუძნებული Versant HCV Genotyping Kit v 2.0 მეთოდის მეშვეობით. ჩვენი კვლევების პროცესში განმეორებით გაკეთდა გენოტიპირება, ამჯერად HCV არასტრუქტურული გენების ამპლიფიკაციაზე და სექვენირებაზე დაფუძნებული მეთოდების გამოყენებით.

HCV გენოტიპების სკრინინგულ კვლევაში მოიაზრებოდა HCV გენოტიპების დასადგენად არასტრუქტურული გენის ამპლიფიკაციაზე დაფუძნებული მეთოდის გამოყენება. ამ კვლევისთვის შევარჩიეთ 117 პაციენტის სისხლის ნიმუში, რომელთაგან შედეგის მიღება მოხერხდა 108 შემთხვევაში (**ცხრილი № 8**). მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციით, ამ პაციენტებიდან 48 (44.4%) ინფიცირებულია HCV პირველი, 25 (23.1%) HCV მეორე, ხოლო 35 (32.4%) HCV მესამე გენოტიპით სტრუქტურულ გენზე დაფუძნებული ამპლიფიკაციის მეთოდის მიხედვით. პაციენტების უმრავლესობა მამაკაცია (80.0%). მათ მონაცემებზე დაყრდნობით, C ჰეპატიტის სავარაუდო გადაცემის გზა 72 (66.7%) მათგანში ნარკოტიკების ინტრავენული მოხმარებაა, 7 (6.4%) - სქესობრივი გზა, 5 (4.6%) პაციენტში - სისხლის გადასხმა, ხოლო 24-ში (22.2%) გადაცემის გზა უცნობია. რანდომულად შერჩეული პაციენტების ამ ჯგუფში გენოტიპების გადანაწილება გადაცემის გზის მიხედვით განსხვავებულია ზოგად მონაცემებთან შედარებით. თუმცა C ჰეპატიტის გადაცემის ძირითად გზად მაინც რჩება ნარკოტიკების ინტრავენური მოხმარების ეპიზოდების არსებობა. პირველ გენოტიპებში HCV სტრუქტურული და არასტრუქტურული უბნების ამპლიფიკაციის შედეგებზე დაყრდნობით შეუსაბამობა არ იქნა გამოვლენილი. თუმცა ერთ პაციენტში მივიღეთ ამპლიფიკაციის ორმაგი სიგნალი, რაც სავარაუდოდ HCV პირველი და მესამე გენოტიპებით ერთდროულ ინფიცირებაზე მიუთითებს. შეუსაბამო შედეგები მივიღეთ HCV მეორე გენოტიპში. კერძოდ, არასტრუქტურულ მეთოდზე დაყრდნობით 25 HCV მეორე გენოტიპიანი ნიმუშებიდან 18-ში გამოვლინდა ამპლიფიკაციის ისეთი სიგნალი, რომელიც HCV პირველი გენოტიპით ინფიცირებაზე მიუთითებს.

ცხრილი № 8. HCV გენოტიპების სკრინინგული ამპლიფიკაციის მეთოდით; პაციენტების მახასიათებლები

პაციენტების მახასიათებლები	პაციენტები (n=108)	პირველი გენოტიპი (n=48)	მეორე გენოტიპი (n=25)	მესამე გენოტიპი (n=35)	<i>p value</i>
სქესი					
მამრობითი, n (%)	86 (80.0 %)	35 (72.9%)	20 (80.0%)	31 (88.5%)	0.8
მდედრობითი, n (%)	22 (20.0%)	13 (27.0%)	5 (20.0%)	4 (11.4%)	
გადაცემის სავარაუდო გზა					
ნარკოტიკების ინტრავენური მოხმარება	72 (66.7%)	35 (72.9%)	15 (60.0%)	22 (62.8%)	0.92
სქესობრივი გადაცემა	7 (6.4 %)	4 (8.3%)	0	3 (8.5%)	
სისხლის გადასხმა/სამედიცინო მანიპულაციები	5 (4.6%)	2 (4.1%)	2 (8.0%)	1 (5.7%)	
გადაცემა ს გზა უცნობია	24 (22.2%)	7 (14.3%)	8 (32%)	9 (25.7%)	
HCV ვირუსის საწყისი რაოდენობა					
>600 000 IU/ml, n (%)	65 (60.0%)	25 (52.0%)	17 (68.0%)	23 (65.7%)	0.12
<600 000 IU/ml, n (%)	43 (40.0%)	23 (47.9%)	8 (32.0%)	12 (34.2%)	
მკურნალობა ჩატარდა	30 (27.7%)	11 (36.6%)	10 (33.3%)	9 (30%)	0.34
მკურნალობა არ ჩატარებია	78 (72%)	37(77%)	15(60%)	26 (74%)	
SVR	16 (53.3%)	5 (45.5%)	5 (50%)	6 (66.7%)	0.7
non-SVR	14(46.6%)	6(54.6)	5 (50%)	3 (33.3%)	

HCV გენომის ორი სხვადასხვა უბნის ამპლიფიკაციის მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ HCV მეორე გენოტიპის შემთხვევაში მინიმუმ 72%-იანი შეუსაბამობაა გენოტიპების დადგენის თვალსაზრისით. ამ სხვაობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეორე გენოტიპების უმრავლესობა სავარაუდოდ წარმოადგენს რეკომბინანტულ ვირუსს, რომლის სტრუქტურულ ნაწილს წარმოადგენს HCV მეორე გენოტიპი, ხოლო არასტრუქტურულს - პირველი. აღნიშნული კვლევის შედეგები მიგვითითებს, რომ აუცილებელია ამ ნიმუშების დეტალური შესწავლა HCV ვირუსის ნუკლეოტიდური თანმიმდევრობის გაშიფრვით და შემდგომი ღრმა ფილოგენეტიკური ანალიზით.

HCV გენოტიპების კონფირმაციულ კვლევაში მოიაზრებოდა არასტრუქტურული გენის შესწავლა, ამ შემთხვევაში, სექვენირების მეთოდით. კვლევისთვის შერჩეული 100 პაციენტის ნიმუშიდან HCV ვირუსის არასტრუქტურული გენების ანალიზისათვის შესაფერისი აღმოჩნდა 72 (სურათი № 5).

კვლევისთვის შერჩეული ნიმუშებიდან 61 (84,7%) მამაკაცია და 11 (15,3%) - ქალი. მათ შორის 50 (69,4%) აღნიშნავდა წარსულში ნარკოტიკების მოხმარებას, 8 (11,1%) - C ჰეპატიტის სავარაუდო გადაცემას სექსუალური კონტაქტით, 2 (2,7%) - წარსულში სისხლის ტრანფუზიას, ხოლო 12 (16,6%) -ში სავარაუდო დაინფიცირების გზა უცნობია (ცხრილი №9).

ცხრილი № 9. HCV გენოტიპების კონფირმაციული კვლევა სექვენირების მეთოდით; პაციენტების მახასიათებლები

პაციენტების მახასიათებლები	პაციენტები (n=72)	პირველი გენოტიპი (n=32)	მეორე გენოტიპი (n=21)	მესამე გენოტიპი (n=19)	<i>p value</i>
სქესი					
მამრობითი, n (%)	61 (84.7 %)	25 (78.1%)	19 (90.5%)	17 (89.5%)	0.49
მდედრობითი n (%)	11 (15.3%)	7 (21.9%)	2 (9.5%)	2 (10.5%)	
HCV გადაცემის სავარაუდო გზა					
ნარკოტიკების ინტრავენური მოხმარება	50 (69.4%)	23 (71.8%)	15 (71.4%)	12 (63.1%)	0.68
სქესობრივი გადაცემა	8 (11.1%)	4 (12.5%)	2 (9.5%)	2 (10.5%)	
სისხლის გადასხმა/ სამედიცინო მანიპულაციები	2 (2.7%)	2 (6.3%)	0	0	
გადაცემის გზა უცნობია	12 (16.6)	3 (9.3%)	4 (19.5%)	5 (26.3%)	
HCV ვირუსის საწყისი რაოდენობა					
>600 000 IU/ml, n (%)	43 (59.7 %)	18 (56.3%)	15 (71.4%)	10 (52.6%)	0.42
<600 000 IU/ml, n (%)	29 (40.3%)	14 (43.7%)	6 (28.6%)	9 (47.4%)	

HCV გენოტიპირება: არასტრუქტურული გენის (NS5B) ანალიზის შედეგები

მონაცემთა ბაზის მიხედვით 72 პაციენტიდან 32-ს (44.4%) ჰქონდა HCV პირველი გენოტიპი, 21 (29.1%)-ს მეორე, ხოლო 19 (26.3%)-ს -მესამე. ამ კვლევის ფარგლებში ჩატარებული არასტრუქტურული გენის (NS5B) ნუკლეოტიდური თანამიმდევრობის გაშიფრვის შედეგების მიხედვით, ცნობილი გახდა, რომ ორ გენს შორის HCV გენოტიპების იდენტიფიცირების კუთხით მესამე და პირველ გენოტიპებში სხვაობა არ გამოვლენილა. HCV პირველ გენოტიპებში სხვაობა აღმოჩნდა მხოლოდ სუბტიპების იდენტიფიცირების დონეზე, კერძოდ, 3 პაციენტი, რომელიც სტრუქტურული გენის მიხედვით 1a სუბტიპით იყო ინფიცირებული, არასტრუქტურულ გენში დადასტურდა როგორც 1b სუბტიპი HCV გენოტიპების სკრინინგული კვლევის მსგავსად დიდი სხვაობა გამოვლინდა მეორე გენოტიპების სტრუქტურულ და არასტრუქტურულ გენებს შორის. კერძოდ, 21 ნიმუშიდან, რომელიც თავდაპირველად მიჩნეული იყო მეორე გენოტიპად (სტრუქტურული გენი) დადასტურდა მხოლოდ 5 მათგანში (არასტრუქტურული გენი). დანარჩენი 16 (76%) ნიმუში არასტრუქტურული გენების ანალიზით მიეკუთვნება HCV პირველ გენოტიპს ან რეკომბინანტულ ფორმას, RF1_2k/1b-ს.

იხილეთ არასტრუქტურული გენის ანალიზის შედეგები BLAST პროგრამაში HCV პირველი, მეორე და მესამე გენოტიპებისათვის.

1 გენოტიპების ანალიზი

ნიმუში HCVG027	C ჰეპატიტის გენომი	გენოტიპი
	სტრუქტურული გენი (5'UTR/Core)-LiPA	1b
	არასტრუქტურული გენი (NS5B)-260bp	1b

>HCVG027 [organism=Hepatitis C virus][isolate=HCVG 027]

[country=Georgia][genotype=1b][molecule=RNA]

CAGTCACTGAGAATGACATCCGAGTAGAGGAGTCAATTTAACAATGTTGTGACTTGCCCCCGAA
 GCCARACAGGCTATAAAGKCGCTCACAGAGCGGCTTTAYATCGGGGGTCCCCTGACYAATTCAA
 AAGGCAGAACTGCGGTTATCGCCGGTGCCGCGGAGCGGCGTGCTGACGACYAGCTGCGGCAAT
 ACCCTYACATGTTAYTTGAAAGCCWCTGCGGCCTGTCGAGCTGCRAAGCTCCAGGACTGCACGAT
 GCTCGTGARCGGAGACGACCTTKTCGTYATCTGTGAAASCRCGGGGACTCAG

(სურათი № 5)

HCV BLAST

[Download](#) unique set of unaligned HIV Database sequences of blast hits
[Download](#) aligned hit sequences in Fasta format in an archived zip
[Download](#) blast results in an archived zip
[Download](#) blast summary

Query: HCVG027

Download sequences Align NCBI Blast Result

Download	Accession Name	Genotype	Country	Year	Description	Score	E value	Identities	Problematic sequences	Location of match in genome
<input checked="" type="checkbox"/>	DQ666246	1b	TW	2004	Hepatitis C virus isolate 2004TW5508 nonfunctional NS5B gene, partial sequence	389	1e-107	242/261 (92%)		+++ + + + + +
<input checked="" type="checkbox"/>	KC437802	1b	US	2006	Hepatitis C virus isolate V4L016 polyprotein gene, partial cds	387	1e-107	242/261 (92%)		+++ + + + + +
<input checked="" type="checkbox"/>	KC124981	1b	-	-	Hepatitis C virus isolate V2458 NS5AB replicase gene, partial cds	386	1e-106	241/261 (92%)		+++ + + + + +
<input checked="" type="checkbox"/>	HC494127	-	-	-	Sequence 760 from Patent WO2009022236	386	1e-106	241/261 (92%)	Patent	+++ + + + + +
<input checked="" type="checkbox"/>	HC186791	-	-	-	Sequence 760 from Patent WO2009130588	386	1e-106	241/261 (92%)	Patent	+++ + + + + +
<input checked="" type="checkbox"/>	AY973856	1b	US	-	Hepatitis C virus isolate ps4-6 polymerase gene, partial cds	386	1e-106	241/261 (92%)		+++ + + + + +
<input checked="" type="checkbox"/>	EU155255	1b	US	2006	Hepatitis C virus subtype 1b isolate HCV-1b/US/BID-V366/2006, complete genome	386	1e-106	241/261 (92%)		+++ + + + + +
<input checked="" type="checkbox"/>	GQ490863	1b	BR	-	Hepatitis C virus subtype 1b isolate 0939CRT RNA-dependent RNA polymerase (ns5b) gene, partial cds	386	1e-106	241/261 (92%)		+++ + + + + +
<input checked="" type="checkbox"/>	HQ537051	-	CY	2009	Hepatitis C virus isolate CYHCV022 RNA-dependent RNA polymerase gene, partial cds	386	1e-106	241/261 (92%)		+++ + + + + +
<input checked="" type="checkbox"/>	KC124925	1b	-	-	Hepatitis C virus isolate V2402 NS5AB replicase gene, partial cds	383	1e-105	239/261 (91%)		+++ + + + + +

>DQ666246 HCV|2004TW5508|seid 30505|1b|TW|2004|Hepatitis C virus isolate
 2004TW5508 nonfunctional NS5B gene, partial sequence
 Length = 362

ნიმუში HCVG028	С ჰეპატიტის გენომი	გენოტიპი
	სტრუქტურული გენი (5'UTR/Core) LiPA	1b
	არასტრუქტურული გენი (NS5B)- 260bp	1b

>HCVG028 [organism=Hepatitis C virus][isolate=HCVG 028]

[country=Georgia][genotype=1b][molecule=RNA]

TTGACTCAACAGTCACTGAGAATGACATCCGAGTAGAGGAGTCAATTTACCAATGTTGTGACTTG
 GCCCCGAAGCCARACAGGCTATAAAGGCGCTCACAGAGCGGCTTTACATCGGGGGTCCCCTGAC
 YAATTCAAAGGGCAGAACTGCGGTTATCGCCGGTGCCGCGGAGCGGCGTGTGACGACTAGC
 TGCGGCAATACCCTYACATGTTACTTGAARGCCWCTGCGGCCTGTCGAGCTGCRAAGCTCCAGGA
 CTGCACGATGCTCGTGAACGGAGACGACCCTTGTCTGTTATTGTGAAAGCGGGGACTCAGGAGG

(სურათი № 6)

HCV BLAST

[Download](#) unique set of unaligned HIV Database sequences of blast hits
[Download](#) aligned hit sequences in Fasta format in an archived zip
[Download](#) blast results in an archived zip
[Download](#) blast summary

Query: HCVG028

Download sequences | fasta | Align

Download	Accession Name	Genotype	Country	Year	Description	Score (bits)	E value	Identities	Problematic sequences	Location of match in genome
<input checked="" type="checkbox"/>	KC439502	VAL016	1b	US	2005	Hepatitis C virus isolate VAL016 polyprotein gene, partial cds	456	1e-127	308/326 (94%)	
<input checked="" type="checkbox"/>	AB049098	HCVT209	1b	JP	-	Hepatitis C virus gene for polyprotein, complete cds, isolate:HCVT209	450	1e-126	306/326 (93%)	
<input checked="" type="checkbox"/>	HC493987	-	-	-	Sequence 620 from Patent WO2009022236	450	1e-126	306/326 (93%)	Patent	
<input checked="" type="checkbox"/>	HC494127	-	-	-	Sequence 760 from Patent WO2009022236	450	1e-126	306/326 (93%)	Patent	
<input checked="" type="checkbox"/>	AB057680	pt-21	1b	JP	-	Hepatitis C virus gene for RNA-dependent RNA polymerase, partial cds, clone:pt.21	450	1e-126	306/326 (93%)	+++
<input checked="" type="checkbox"/>	AB154198	No-23	1b	IE	-	Hepatitis C virus type 1b gene for polyprotein, partial cds, isolate:No. 23	450	1e-126	306/326 (93%)	
<input checked="" type="checkbox"/>	HC186791	HC186791	-	-	Sequence 760 from Patent WO2009130588	450	1e-126	306/326 (93%)	Patent	
<input checked="" type="checkbox"/>	HC186651	HC186651	-	-	Sequence 620 from Patent WO2009130588	450	1e-126	306/326 (93%)	Patent	
<input checked="" type="checkbox"/>	HC186624	HC186624	-	-	Sequence 593 from Patent WO2009130588	450	1e-126	306/326 (93%)	Patent	
<input checked="" type="checkbox"/>	FJ435539	O1AZ072	1b	AZ	2000	Hepatitis C virus isolate O1AZ072 polyprotein gene, partial cds	448	1e-125	305/326 (93%)	+++

>KC439502 HCV|VAL016|seid 179507|1b|US|2005|Hepatitis C virus isolate VAL016
 polyprotein gene, partial cds
 Length = 8988

	C ჰეპატიტის გენომი	გენოტიპი
ნიმუში HCVG037	სტრუქტურული გენი (5'UTR/Core) LiPA	1b
	არასტრუქტურული გენი (NS5B)- 260bp	1b

>HCVG037 [organism=Hepatitis C virus][isolate=HCVG 037]

[country=Georgia][genotype=1b][molecule=RNA]

ACTTGGCCCCGAAGCCAGACAGGCCATAAGGTCGCTCACAGAGCGGCTTTATGTCGGGGGTCCC
